პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 295 (9763) | ოთხშაბათი, 16 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ავამაღლოთ ქართული საბჭოთა დრამატურგიის დონე (მე-2 გვერდი).
ქალაქი ეხმარება სოფელს (მე-2 გვერდი).
ვ. გელაშვილი. — ახალ პირობებში ძველებურად (მე-2 გვერდი).
სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია (მე-3 გვერდი).
ი. პროხოროვი. — დასავლეთი გერმანია აგრესიის საშიში კერაა ევროპაში (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — სახალხო ჩინეთის სომდიდრეთა ამსახველი წიგნი (მე-3 გვერდი).
კორეის ერთიანი დემოკრატიული საქალაქო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ცნობა (მე-3 გვერდი).
ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (მე-4 გვერდი).
შუღლი თურქეთის დემოკრატიულ პარტიასა და სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას შორის (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
რესპუბლიკური ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

აღვკვეთოთ სასოფლო-სამეურნეო არჯელის წესდების დარღვევები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის გრანდიოზული ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში სავსებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე და ნედლეულით უზრუნველვყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობა.

სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ახალი აღმავლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მტკიცედ დაცვა. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულად და მეურნეობრივად განმტკიცება, მათი საზოგადოებრივი სიმდიდრის, კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის ზრდა ბევრად არის იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად განუხრელად სრულდება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებიან კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის საკითხებს. პარტიას და მთავრობას თავიანთი გადაწყვეტილებებით არაერთხელ მიუქცევიათ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება საკოლმეურნეო წესდების ურყევად დაცვისადმი. ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ადგილებზე გაწეული მუშაობის შედეგად პირველ ხანებში მნიშვნელოვნად შემცირდა წესდების დარღვევები, ერთგვარად გაუმჯობესდა შრომადღეების ხარჯვისა და საარტელო შემოსავლის განაწილების წესი. მიუხედავად ამისა, ჯერაც არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი კოლმეურნეობებში წესდების დარღვევის შემთხვევები.

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევებს, საზოგადოებრივი მიწების, ქონების, პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ფულადი სახსრების, შრომადღეების განაკვეთების ფაქტებს და სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად, დაავალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უყარესად ზუსტად დაცვისადმი, არ დაუშვან საზოგადოებრივი მიწებისა და საკოლმეურნეო დოვლათის განაკვეთების ფაქტები, მიიღონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებში საქმის უყაირათოდ გაძღოლის აღმოფხვრისათვის.

როგორ ასრულებენ ამ დავალებას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები? ძალიან სუსტად; შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ ამ დავალებათა შესრულებაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა ნამდვილი პასუხისმგებლობა.

ფაქტია, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები? ძალიან სუსტად; შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ ამ დავალებათა შესრულებაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა ნამდვილი პასუხისმგებლობა.

ფაქტია, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები? ძალიან სუსტად; შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ ამ დავალებათა შესრულებაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა ნამდვილი პასუხისმგებლობა.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

ხერსონელი კოლმეურნეები აჭარაში

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში გემ „უკრაინათი“ ბათუმში ჩამოვიდნენ უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის სოფელ ბელოზერსკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლები.

ხერსონელ კოლმეურნეთა ჩამოსვლის მიზანია გაეცნონ ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას, შეამოწმონ მომძღვრ რესპუბლიკების ამ ორ მსგავს კოლმეურნეობას შორის გასულ წელს დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულება და ერთმანეთს გაუზიარონ უხვი მოსავლის მოყვანისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის ბრძოლაში შეძენილი გამოცდილება.

მომძღვრ რესპუბლიკის კოლმეურნეები დიდი ინტერესით ეცნობიან ახალშენელ კოლმეურნეთა საქმიანობას, მათს წარმატებებს და მომავალ პერსპექტივებს.

4 მილიონი მანეთი მოგება

თელავი. (საკ. კორ.). თელავის აბრეშუმის ძაფსაღებმა ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულა. დაზოგილია 200.000 მანეთის აბრეშუმის პარკი.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად ფაბრიკის კოლექტივმა 10 თვის განმავლობაში 4 მილიონ მანეთზე მეტი მოგება მისცა სახელმწიფოს, გეგმა კი 2.338.000 მანეთს ითვალისწინებდა.

ფაბრიკა წლის ბოლომდე სახელმწიფოს დამატებით მისცემს ერთ მილიონ მანეთ მოგებას.

მექანიზაციორთა კადრების მომზადება

სილნალი. (საკ. კორ.) დაბა წნორის მტს-ს ბევრი კვალიფიციური და გამოცდილი მექანიზატორი ჰყავს. ამავე დროს აქ წარმატებით მიმდინარეობს მექანიზატორთა ახალი კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ახლახან წულუკიძის მექანიზაციის ტექნიკუმში მიავლინეს სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი და მეცხოველეობის დარგში მომუშავე მექანიკოსი, სადაც ისინი საშუალო განათლებას მიიღებენ.

მეცადინეობას შეუდგა რაიონის მტს-ების ტრაქტორისტთა მოსამზადებელი 4-თვიანი კურსები. კურსები უზრუნველყოფილია კვალიფიციური მასწავლებლებით.

ახალი საგადასახადო კანონის პირველი შედეგები

მახარაძე. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული ახალი საგადასახადო კანონის განხორციელებამ რაიონის კოლმეურნე გლეხობას დიდი სარგებლობა მოუტანა. მახარაძის რაიონის საკოლმეურნეო სოფლები წელს თითქმის ორი მილიონი მანეთით ნაკლებს იხდიან, ვიდრე შარშან. მარტო თხინვალის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეებს გადასახადები შეუმცირდათ 121.000 მანეთით, მერიის სასოფლო საბჭოში — 185.000 მანეთით, ნატანების სასოფლო საბჭოში 171.000 მანეთით და ა. შ.

კოლმეურნეებს გაცილებით ნაკლები გადასახადი ექნებათ მომავალი წლიდან, როდესაც გადასახადები 1952 წელთან შედარებით 2,5-ჯერ შემცირდება.

მეშახტეთა დასვენება ზამთარში

ტყიბული. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის ზაფხულში და შემოდგომაზე 400-ზე მეტმა მეშახტემ შვებულება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში გაატარა.

მეშახტეები კვლავ მიდიან დასასვენებლად კურორტებზე. ამ დღეებში აქ მიიღეს კისლოვოდსკის, წყალტუბოს, ესენტუკის, სოჭის, პიატიგორსკის, გაგრის, ჟელეზნოვოდსკის და სხვა სანატორიუმების საგზურები. მრავალი მოწინავე მეშახტე უკვე გაემგზავრა დასასვენებლად.

შვიდი მილიონი მანეთის მომინანქრებული ჭურჭელი

თბილისის მომინანქრებული ჭურჭლის ქარხანამ გამოუშვა ახალი პროდუქციის — 0,6 ლიტრი ტევადობის მომინანქრებული ტოლჩების პირველი პartია. ეს არის სათვალავით მეხუთე სახეობის პროდუქცია, რომელიც საწარმომ უკანასკნელ დროს აითვისა.

ქარხანა უშვებს სხვადასხვა ზომის მომინანქრებულ კარდლებს, ჯამებს, ხუფიან კასრებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა. წელს ქარხანამ რესპუბლიკის მოვაჭრე ორგანიზაციებს მისცა თითქმის 7 მილიონი მანეთის სხვადასხვა მომინანქრებული ჭურჭელი.

მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა თანამეგობრობა

ქარელი. (საკ. კორ.). რამდენიმე წელია შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის ერთმანეთს ეჯიბრება ქარელის რაიონის სოფელ ლეთეთის კოლმეურნეობა და სომხეთის სსრ კიროვკანის რაიონის სოფელ სარაარტის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობა.

მიმდინარე წლის სექტემბერში ლეთეთის კოლმეურნეობაში იყვნენ სარაარტელ კოლმეურნეთა წარმომადგენლები. მათ გულდასმით დათვალიერეს შაქრის ჭარხლის პლანტაცია. სტუმრებმა და მასპინძლებმა ბევრი საინტერესო აზრი გაუზიარეს ერთმანეთს შაქრის ჭარხლის დამუშავებაზე.

წასვლის დროს ხარაარტის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვანიკიანმა სთხოვა ლეთეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მ. მარღიშვილს მოსავლის აღების შემდეგ მისწეროს მას კოლმეურნეობის მიღწევების შესახებ და კიდეც ესტუმროს თავისი დელეგაციით.

ლეთეთის კოლმეურნეობამ წელს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მიიღო. თავისი მიღწევების შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შემდეგი წერილი გაუგზავნა სარაარტის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს:

„ძვირფასო ვაგანაკ! ლეთეთის კოლმეურნეობამ წელს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მიიღო. 44 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილია 440 ცენტნერი ჭარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 310 ცენტნერისა, აქედან 20 ჰექტარ მაღალმოსავლიან ფართობზე, რომელიც თქვენმა დელეგაციამ დათვალიერა, მიღებულია საშუალოდ ჰექტარზე 550 ცენტნერი.

პირველი ბრიგადის ბრიგადირმა მ. ბეგალაშვილმა 12 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 486 ცენტნერი ჭარხალი. სტახანოველმა ნატო ზასხოშვილმა ერთ ჰექტარზე მიიღო 680 ცენტნერი, ხოლო ნიკოლოზ ფილიშვილმა — 700 ცენტნერი.

შარშანდელთან შედარებით სახელმწიფოს ჩავაბარეთ ორნახევარჯერ მეტი ჭარხალი. ჩაბარებულ ჭარხალში ავანსის სახით უკვე მივიღეთ 400 ათასი მანეთი ფული და დიდი რაოდენობით შაქარი. კარგი მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც.

ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე წარმატებით ვემზადებით მომავალი წლის უფრო უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ამ წერილის მიღების შემდეგ გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი მიღწევების შესახებ“.

ახალი ქსოვილები



წარმატებით იმუშავა წელს თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივმა. მან 11 თვის საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება 112,9 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 105.000 მეტრზე მეტი მაღალხარისხოვანი შალის ქსოვილი.

ახლა ფაბრიკის კოლექტივი ითვისებს უმაღლესი ხარისხის ქსოვილის, მამაკაცის სამალტო დრაფის „დედაქალაქურის“ წარმოებას. კიდევ ცოტა ხანიც, და საბჭოთა ადამიანები მიიღებენ ათეულ ათასობით მეტრ ძვირფას სამალტოს. დრაფი „დედაქალაქური“ მოიქსოვება მუქი ლურჯი, შავი და მუქი ყავისფერი.

მაგრამ მარტო ამ ქსოვილის დამზადება როდი ეხარებთ ფეიქრებს. ახლა ისინი იწყებენ ქალის სამალტოე დრაფის ქსოვას წმინდა მატყლისა და შტაპელური ბოჭკოსგან. ეს იქნება სხვადასხვა სახის ლამაზი, იაფი და გამძლე ქსოვილი. მომავალ წელს მას ასეულ ათასობით მეტრს გამოუშვებენ.

1954 წელს ფაბრიკის კოლექტივს ფართო პერსპექტივები აქვს. ორნახევარჯერ გადიდდება „მერინო-134“ და წმინდა მატყლის საკოსტიუმე ქსოვილის — სერჩის გამოშვება. გაიზრდება ტრიკო „კოლხიდისა“ და „რუსთავის“ სახეობის რაოდენობა. ახალი წლიდან განახლდება დამზადება შტაპელური ბოჭკოიანი „საკოსტიუმე შევიოტისა“, რომელმაც მომხმარებელთა მოწონება დაიმსახურა. ესეც იაფი და ლამაზი ქსოვილია.

სურათებზე: 1. მე-6 კომპლექტის ოსტატის თანაშემწე გ. ბიჭოშვილი (მარცხნივ) და ახალგაზრდა მქსოველი ზ. ძაგოევა მუშაობენ იმ დაზგის გაწყობაზე, რომელზეც ქსოვენ „დედაქალაქურ“ დრაფს. 2. მზა პროდუქციის საწყობში ამზადებენ მაღალიებისა და სამკერვალო ფაბრიკებისათვის გასაგზავნი ქსოვილების მორიგ პartიას.

ფოტო და ტექსტი ვლ. გინზბურგისა.

ჩვენს დიად სამშობლოში

1.500 ექსკურსანტი წარჩინებული ჭრაქჭორისჭის ბრიგადაში

სტარო-ბეშევო (სტალინოს ოლქი), 14 დეკემბერი. (საკდესი). სოციალისტური შრომის გმირის პ. ნ. ანგელინას სატრაქტორო ბრიგადას ეწვიენ მეზობელი პოკროვო-კირეევკის მტს-ის მექანიზატორები. ექსკურსანტებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ყველა მანქანა განსაკუთრებით კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ. მექანიზატორებმა გადამეტებით შეასრულეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი ყველა სახის სამუშაოს მიხედვით. გვალვიანი ზაფხულის მიუხედავად აღებულია მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზირის ას-ასფუთიანი მოსავალი. ამასთან სამუშაოთა თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა, დაზოგილია ორ ტონამდე საწვავი.

სტუმრებმა დაწვრილებით შეისწავლეს საათობრივი გრაფიკით სამუშაოთა ორგანიზაცია და სატრაქტორო აგრეგატების მოძრაობის შემცირებული მარშრუტები, რომლებმაც ხელი შეუწყო წარმატების მიღწევას. მათ დაათვალიერეს აგრეთვე სატრაქტორო ბრიგადის მოედანი საველე ბანაკი, სადაც აგებულია დიდი სახლი ტრაქტორისტების დასასვენებელი ოთახებით, სასადილოთი და წითელი კუთხით. პოკროვო-კირეევკის მტს-ის მექანიზატორებმა გადაწყვიტეს ფართოდ გამოიყენონ თავიანთი მტს-ში მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილება.

წელს პ. ანგელინას ბრიგადას ეწვიენ როსტოვის, კუიბეშევის, ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკისა და სხვა ოლქების სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციები. სახელგანთქმული ბრიგადის მექანიზატორებთან წლის განმავლობაში სტუმრად იყო მტს-ებისა და კოლმეურნეობების 1.500 მუშაკი.

სომხეთის კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ზრდა

ერევანი, 14 დეკემბერი. (საკდესი). სომხეთის კოლმეურნეობების შემოსავალი წლითიწლობით იზრდება. მნიშვნელოვნად გადიდდა მათი განუყოფელი ფონდები. აპარანის, ოქტემბერიანისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელებმა განუყოფელ ფონდებში გადარიცხეს ერთნახევარჯერ მეტი, ხოლო ახტისა და მარტუნის რაიონების კოლმეურნეობებმა — ორჯერ უფრო მეტი სახსრები, ვიდრე გასულ წელს.

წლის დამდეგიდან სომხეთის კოლმეურნეობებმა განუყოფელი ფონდების შესავსებად შეიტანეს 14 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1952 წლის შესაბამის პერიოდში.

საბავშვო თეატრების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

14 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა საბავშვო თეატრების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირში მონაწილეობას იღებენ მოზარდ მაყურებელთა თეატრების დირექტორები, რეჟისორები და მსახიობები, დრამატურგები, პედაგოგები, კომკავშირული მუშაკები, რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თეატრების სამმართველოს უფროსმა ე. ე. სევერინმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პოეტმა ხ. ვ. მიხალკოვმა, ირკუტსკის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ს. ს. კზიმიროვსკიმ, მოსკოვის 110-ე ვაჟთა საშუალო სკოლის ლიტერატურის მასწავლებელმა ტ. ს. ზეპალოვამ, რიაზანის თეატრის დირექტორმა მ. რ. ჟრაკლანცევმა და სხვებმა. (საკდესი).

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის სესია

14 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის საერთო კრების VI სესია.

მოხსენება „სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიისა და მისი ინსტიტუტების ძირითადი ამოცანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით“ გააკეთა აკადემიის პრეზიდენტმა ა. მ. გერასიმოვმა.

სესია რამდენიმე დღეს გასტანს. გადაწყდა სესიაზე მოსმენილ იქნას აგრეთვე ცნობა აკადემიის 1954 წლის მუშაობის გეგმის შესახებ და მოეწყოს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს არჩევნები. (საკდესი).

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი ფინეთს გაემგზავრა

ფინეთის მთავრობის მიწვევით ჰელსინკს გაემგზავრა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, რათა მონაწილეობა მიიღოს იმ ყინულმჭრელის წყალზე ჩაშვების ცერემონიაში, რომელიც სსრ კავშირისათვის შენდება. ამხ. კაბანოვთან ერთად ჰელსინკს გაემგზავრნენ სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის მინისტრის მოადგილე ვ. მ. პტაშნიკოვი, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ნ. ი. ჩეკლინი, მ. კ. არტემიევი და ლ. კ. სავინოვი.

დამაჯერებელი ანაზღაურება უხვი მოსავლისათვის

ველიკიე ლუჩკი (იმიერკარპატის ოლქი). (საკდესი). მუკაჩოვოს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც იმიერკარპატის ყველაზე მსხვილი კოლმეურნეობაა, გუშინ დამთავრდა მემინდვრეობის პროდუქტების გაცემა მოსავლიანობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის დამატებითი ანაზღაურების ანგარიშში. კოლმეურნეებმა მარტო სიმინდი მიიღეს სამი ათას ცენტნერამდე.

დომატრი ვოლოშინის ბრიგადამ გამოიყენა მოწონავე აგროტექნიკის კომპლექსი: თესლის ჰაერის სითბოთი შეთბობა და გრანულირებით დამუშავება, კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, სამგზის მწკრივთაშორის დამუშავება ტრაქტორით. ბრიგადამ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 81 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. საერთო მოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრიგადას დამატებითა ანაზღაურების სახით მიეცა 1.384 ცენტნერი სიმინდი. სოციალისტური შრომის გმირის ანა ლადანის რგოლის წევრებმა დამატებითი ანაზღაურების ანგარიშში თვითეულ შრომადღეზე მიიღეს 14 კილოგრამი სიმინდი და 3,8 კილოგრამი მზესუმზირა.

დამატებითი ანაზღაურება უკვე გაიცა იმიერკარპატის ბევრ კოლმეურნეობაში.

ავამაღლოთ ქართული საბჭოთა დრამაჭურგიის დონე

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე

კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე, რომელმაც საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლისა და გამარჯვებათა დიადი პროგრამა დასახა, დიდი ამოცანები იქნა დაყენებული საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის წინაშეც. პარტიის XIX ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა, აღნიშნა რა დიდი წარმატებანი საბჭოთა ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, თეატრის, კინოს განვითარებაში, ამავე დროს დაწვრილებით იელაპარაკა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის ამ დარგში.

საბჭოთა ადამიანების იდეური და კულტურული დონე განუზომლად ამაღლდა. ისინი დიდ მოთხოვნებს უყენებენ საბჭოთა მწერლებისა და მხატვრების შემოქმედებას, ვერ ურიგდებიან უფერულობას, უიდეობას, სიყალბეს. ჩვენი ლიტერატურა და კერძოდ დრამატურგია ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. „საბჭოთა საზოგადოების მრავალფეროვანი და მჩქეფარე ცხოვრება ზოგიერთი მწერლისა და მხატვრის შემოქმედებაში უფერულად და მოსაწყენად არის ასახული“, — ამბობდა ამხანაგი გ. მ. მალენკოვი.

უკანასკნელი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სიტყვის ოსტატების საქმიანობა შესამჩნევად გამოცოცხლდა. ახალი საინტერესო ნაწარმოებები შეივსო საბჭოთა დრამატურგიაც. დრამატურგებმა დაგმეს და უკუაგდეს უკონფლიქტობის „თეორია“, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ხელოვნებას, და შექმნეს საკმაოდ ბევრი კარგი პიესა, რომლებიც ახლა წარმატებით იდგმება ჩვენი ქვეყნის თეატრებში.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის XIV პლენუმმა, რომელიც საბჭოთა დრამატურგიის განვითარების პრობლემებს მიეძღვნა, საზოგადოებრიობის ფართო ყურადღება მიიპყრო. პლენუმზე ყოველმხრივ იქნა განხილული საბჭოთა დრამატურგების შემოქმედებითი ოსტატობის საკითხები, გამოაშკარავდა სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენი მწერლების მოღვაწეობაში.

ამას წინათ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის XIV პლენუმის შედეგები განიხილა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმმა. პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა ი. აბაშიძემ. ქართული საბჭოთა დრამატურგიის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექციის თავმჯდომარემ მ. მრევლიშვილმა. მომხსენებელი და ცალკეულ გამოსული მწერლები, რეჟისორები, მსახიობები, კრიტიკოსები აღნიშნავდნენ საბჭოთა დრამატურგიის უდიდეს მნიშვნელობას მსმენელის იდეოლოგიურ აღზრდაში, ლაპარაკობდნენ იმ წარმატებებზე, რომლებსაც ქართულმა დრამატურგიამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე მიაღწია, აშკარავებდნენ ჩვენი რესპუბლიკის დრამატურგთა შემოქმედების სერიოზულ ნაკლოვანებებს. ჯერ კიდევ არა გვაქვს იდეურად და მხატვრულად კარგი დრამატული ნაწარმოებნი თანამედროვე თემებზე. ცოტაა კარგი ენით დაწერილი პიესები საინტერესო, დინამიკური სიუჟეტით. ავტორები საკმაოდ არ მუშაობენ თავიანთი პიესების კომპოზიციურ აგებაზე, პერსონაჟების ხასიათებზე. ბევრ ნაწარმოებში კონფლიქტი მექანიკურად არის გადაჭრილი, შერბილებულია.

პლენუმზე გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ ქართველი პროზაიკოსები და პოეტები ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ლ. ქიაჩელი, ა. ჭეიშვილი და სხვები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ისეთ დიდმნიშვნელოვან ლიტერატურულ ჟანრს, როგორიც არის დრამა. საკმაოდ ნაყოფიერად არ მუშაობენ დრამატურგები შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი, პ. კაკაბაძე, მ. მრევლიშვილი, კ. კალაძე და სხვები, ხოლო წარსულ წლებში დაწერილი მათი კარგი პიესები თეატრებმა ვერ შეინარჩუნეს თავიანთ რეპერტუარში.

რესპუბლიკაში ცუდად არის დაყენებული შემოქმედებითი კავშირი თეატრებსა და პიესების ავტორებს შორის. თეატრების კოლექტივები საკმაოდ არ ეხმარებიან დრამატურგებს, ხოლო დრამატურგები თავის მხრივ გულისყურით არ ეკიდებიან დამდგმელებისა და მსახიობების შენიშვნებს. როცა შემოქმედებითი თანამშრომლობა არ არის, ეს ზოგჯერ იმას იწვევს, რომ პიესა დადგმაში სრულფასოვან სცენიურ განსახიერებას ვერ პოულობს. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუშაობა მ. ბარათაშვილის პიესა „მარინეზე“. ეს მხიარული, ხალისიანი ლირიკული კომედია დაუდევრად დაიდგა და რეპერტუარს ვერ შერჩა. ამავე დროს საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის სცენაზე მოსკოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა თეატრებში იგი დღემდე დიდი წარმატებით იდგმება.

თეატრები და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა ცუდად მუშაობენ ახალგაზრდა ავტორებთან. მათ თითქმის არ ეხმარებიან, მაღალ მოთხოვნებს არ უყენებენ, არ ასწავლიან. ამაში, როგორც პლენუმზე აღინიშნა, ბრალი მიუძღვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსაც. მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს ახალგაზრდა, ნიჭიერ ავტორებს, საჭიროა ყოველდღიური მუშაობა მათთან და არა სასხდომო ფუსფუსი, დეკლარირება, რასაც ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა მთავარ სამმართველოში.

ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექციის მუშაობა, იგი უნდა გადაიქცეს ახალ პიესებზე მომუშავე მწერლების შემოქმედებითს ლაბორატორიად.

სრულიად შეუწყნარებელია, რომ საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე არ გამოსულა არცერთი მაღალმხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმი. ძალიან ცუდად მუშაობს მწერალთა კავშირთან არსებული კინოკომისია, რომელსაც ა. ბელიაშვილი უდგას სათავეში. კინოდრამატურგების შემოქმედებითი ცხოვრების ცენტრი არ გამხდარა აგრეთვე თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილება. ჩვენი მწერლები არ წერენ კინოსცენარებს, სრულიად აიღეს ხელი ოპერის ლიბრეტოების, ერთმოქმედებიანი ვოდევილების, სკეტჩების შექმნაზე, ისინი კი ძალიან საჭიროა. კლუბები და კულტურის სახლები პიესების მწვავე ნაკლებობას განიცდიან.

რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარი სისტემატურად უნდა ფართოვდებოდეს აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მომუშავე ავტორთა ნაწარმოებებით. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა კი ამ დრამატურგების შემოქმედებისადმი სრულიად გაუმართლებელ გულგრილობას იჩენს. ამის დამადასტურებელია ის, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექციის თავმჯდომარემ მ. მრევლიშვილმა თავის მოხსენებაში არც კი მოიხსენია ის ნაწარმოებნი, რომლებიც ამ წლების მანძილზე დაიწერა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში, აგრეთვე მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში.

მოხსენების ეს სერიოზული ხარვეზი შეავსო მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლების — აფხაზეთიდან ბ. შინკუბას, აჭარიდან ვ. კანდელაკის, სამხრეთ ოსეთიდან ვ. სანაკოევის გამოსვლებმა. ისინი სამართლიანად აკრიტიკებდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექციასა და გამგეობას იმისათვის, რომ ისინი შემოქმედებითს დახმარებას არ უწევენ იმ დრამატურგებს, რომლებიც თბილისში არ მუშაობენ, სრულ გულგრილობას იჩენენ მათი საქმიანობისადმი. თუ სუხუმის, ბათუმის, სტალინირის თეატრების სცენაზე ადგილობრივი ავტორების პიესები ასე თუ ისე იკაფავენ გზას, რესპუბლიკის დედაქალაქის სცენამდე ისინი ვერასოდეს ვერ აღწევენ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრებს ამ პიესებზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ.

ჩვენში ძლიერ ჩამორჩენილია საბავშვო დრამატურგია. გ. ნახუცრიშვილისა და ს. მთვარაძის გარდა ამ დარგში თითქმის არც ერთი დრამატურგი არ მუშაობს. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი სრულიად არ მუშაობს ავტორებთან, შემოიფანტა ცხინი. თეატრის ხელმძღვანელობა ხელს არ უწყობს ბავშვებისათვის სრულფასოვანი დრამატურგიის შექმნას. მწერლები ქ. ქუჩუკაშვილი, ნ. ოქროპირიძე, ო. ჩიტაიშვილი, რომლებიც ოდესღაც აქტიურად მუშაობდნენ ამ დარგში, საბავშვო პიესებს აღარ წერენ. ამან გამოიწვია ის, რომ მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის რეპერტუარი შემთხვევითი ნაწარმოებებისაგან შედგება, ვერ აკმაყოფილებს მოზარდი მაყურებლის თეატრისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

ჩვენი მწერლები საკმაოდ სწრაფად ვერ ეხმაურებიან თანამედროვეობის ამაღელვებელ თემებს. მათს ნაწარმოებებში არ არის მკაფიო, სრულფასოვანი სახე ახალი საბჭოთა ადამიანისა, კომუნიზმის მშენებლისა, წინსვლისაკენ მომწოდებელი გმირისა, რომელიც მისთვის მიბაძვის მხურვალე სურვილს იწვევდეს. ქართულ დრამატურგიაში ჯერ კიდევ არ არის მძაფრი სატირა, რომელიც ამათრახებდეს წარსულის გადმონაშთებს ადამიანთა შეგნებაში, ისეთ მოვლენებს, როგორიც არის შრომის ბატონკაცური უგულებელყოფა, ფარისევლობა, თავგასულობა, მაამებლობა, ბაქიობა და ა. შ.

ჩვენს დრამატურგიაში სრულიად არადამაკმაყოფილებლად შუქდება ისეთი თემები, როგორიც არის საბჭოთა ქვეყნის ხალხთა თანამეგობრობა, დიადი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა რუს და ქართველ ხალხებს შორის.

კამათში გამოსული მწერლები, მსახიობები და რეჟისორები სერიოზულ პრეტენზიებს უყენებდნენ კრიტიკოსებს, რომლებიც ცუდად ეხმარებიან დრამატურგებს ღრმაიდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნაში.

ხშირად საქმიანი პრინციპული კრიტიკა იცვლება სუბიექტური, ნებისმიერი შეფასებებით. გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული რეცენზიები ძალიან ხშირად დაუმსახურებლად აღტაცებულ კილოზეა დაწერილი. კრიტიკოსებმა დათვური სამსახური გაუწიეს დრამატურგებს პ. კაკაბაძესა და ი. ვაკელს, დროზე რომ არ მიაქცევინეს მათ ყურადღება პიესების „ბედნიერების საშვედლოსა“ და „რვალის“ ნაკლოვანებებზე. ორივე პიესა დაიდგა, მაგრამ მაყურებლებში წარმატება არ ჰქონია. ჩვენი მწერლები, რეჟისორები, მსახიობები თითქმის სრულებით არ გამოდიან პრესის ფურცლებზე ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების ან სპექტაკლის კრიტიკული გარჩევით, იშვიათად იბეჭდება ლიტერატურულ კრიტიკოსთა და თეატრმცოდნეთა სტატიები. ამ დიდ და საპატიო საქმეს ჩვენი გაზეთები და ჟურნალები, როგორც პლენუმზე აღინიშნა, ხშირად ანდობენ შემთხვევით ადამიანებს, რომლებიც ცუდად ერკვევიან ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია პიესების რეცენზირებას მათ დადგმამდე, რაც ჩვენში თითქმის სრულებით არ ხდება. ჩვენი დრამატურგების პიესები თითქმის არ იბეჭდება ჟურნალებში, იშვიათად გამოდის ცალკე კრებულებად.

ცუდად არის დაყენებული ქართული პიესების რუსულ ენაზე თარგმნის საქმეც. ამ მხრივ დიდი პრეტენზიები წაუყენეს გრიბოედოვის სახელობის თეატრს, რომელიც ცუდად უწევს პროპაგანდას ქართულ საბჭოთა დრამატურგიას.

პლენუმზე გამოსულმა დრამატურგმა ა. შტეინმა და მწერალმა ვ. კატაევმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ისინი თეატრების კოლექტივებთან, რა დადებითი შედეგი მოაქვს დრამატურგისა და რეჟისორის ერთობლივ შემოქმედებითს ძიებას.

პლენუმზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივნის ს. ჭილაიას მოხსენება მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობისათვის მზადების შესახებ.

პლენუმზე მიღებული ვრცელი გადაწყვეტილება მიმართულია ქართული საბჭოთა დრამატურგიის შემდგომი აღმავლობისაკენ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჩხიკვაძემ.

ნიზამი განჯელის გარდაცვალების 750 წლისთავის აღსანიშნავი საღამო

15 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართა დიდი აზერბაიჯანელი პოეტისა და მოაზროვნის ნიზამი განჯელის გარდაცვალების 750 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ.

— მოძმე აზერბაიჯანელმა ხალხმა,— აღნიშნა ამხ. ლეონიძემ, — მსოფლიოს მისცა გენიალური შემოქმედი და დიდი მოაზროვნე ნიზამი განჯელი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უკვდავი შოთა რუსთაველის ეპოქაში. ქართველები, ნიზამის ბრწყინვალე ქმნილებებს ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ეიცნობდით. შემდეგ საუკუნეებში, ქართულ ლიტერატურულ წრეებში არ შენელებულა ინტერესი დიდი პოეტისადმი.

ნიზამი განჯელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო პოეზიის საგანძურში. მისი პოეზია გამომხატველი იყო ამიერკავკასიის ხალხთა — ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების ერთიანობისა და მტკიცე მეგობრობისა. დიდი აზერბაიჯანელი მგოსანი თავისი ეპოქის მოწინავე იდეების მტკიცე მატარებელი იყო. იგი იცავდა ადამიანის უფლებებს ბოროტებისა და ძალმომრეობისაგან. მას ბოლომდე შერჩა სიძულვილი ხალხის ტირანებისადმი. განჯელის პოეზია აღსავსეა მაღალი ჰუმანური გრძნობებით, რომელიც ემსახურებოდა ადამიანის თავისუფლებასა და ბედნიერებას.

ნიზამი განჯელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა კ. ფალავამ.

პოეტებმა კ. ჭიკინაძემ და მ. თოდუამ წაიკითხეს ნიზამი განჯელის ლექსებისა და პოემების ქართული თარგმანების ნაწყვეტები. ახალგაზრდა პოეტებმა ო. კუპრავამ და ო. შალამბერიძემ წაიკითხეს ნიზამი განჯელისადმი მიძღვნილი ლექსები.

სიტყვა წარმოსთქვა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტმა დ. ალიევამ, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ისტორიულ მეგობრობაზე.

დასასრულ გაიმართა კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა ძალებით.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ქალაქი ეხმარება სოფელს

კარგი თაოსნობა

ბათუმი. (ს ა კ. კ ო რ.). მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას ქალაქის საწარმოები პატრიოტული ინიციატივით უპასუხებენ. ისინი ეხმარებიან მტს-ებს, კოლმეურნეობებს.

კარგი თაოსნობა გამოიჩინა ბათუმის სავაგონო დეპოს კოლექტივმა, რომელმაც შეფობა იკისრა ქობულეთის მტს-ზე. ამას წინათ დეპომ მტს-ის ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტის საპირობისათვის დაამზადა 150 კილოგრამი ქანჩი და ჭანჭიკი. დამზადებულია აგრეთვე 16 კომპლექტი დაკუთხული რკინა და სხვა ზომის დეტალები ტრაქტორისა და დაზგებისათვის. შეფი მტს-ს ეხმარება თხევადი მინით, ზეთებით, საინსტრუმენტო ფოლადით და სხვ.

დეპოს კოლექტივმა გადაწყვიტა დახმარება აღმოუჩინოს მტს-ს ტექნიკური კონსულტაციით, რომელსაც დეპოს ინჟინერ-ტექნიკოსები უშუალოდ მტს-ში მოაწყობენ.

კოლმეურნეობათა შეფები

რუსთავი. (ს ა კ. კ ო რ.). ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის ხის დამამუშავებელი კომბინატის კოლექტივმა იკისრა შეფობა გაუწიოს გარდაბნის რაიონის სოფელ ბირლიკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას და ვალდებულება იკისრა დაეხმაროს საშეფო კოლმეურნეობას ფერმებისა და პირუტყვის სადგომების მშენებლობაში, შეაკეთოს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, საჭირო რაოდენობით მიაწოდოს ხე-ტყე, ნახერხი, დაუმონტაჟოს თივის საჭრელი და სხვა სახის მექანიზმები, დაუმზადოს სათბურების ჩარჩოები და სხვ. ამასთან ხის დამამუშავებლთა ვალდებულება ითვალისწინებს ბირლიკელი კოლმეურნეებისათვის საკუთარი ძალებით მოაწყოს გასვლითი კონცერტები და წაიკითხოს ლექცია-მოხსენებანი.

ამავე ტრესტის სარემონტო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა გარდაბნის რაიონის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობისა და მახარაძის რაიონის მტს-ის შეფობა იკისრა.

სარემონტო-მექანიკური ქარხნის ზეინკლებმა ოსტატ გ. მუსელიანის ხელმძღვანელობით საშეფო კოლმეურნეობას უკვე შეუკეთეს სატვირთო მანქანა. ქარხნის მექანიკოსებს განზრახული აქვთ ახლო ხანში მახარაძის მტს-ს გაუგზავნონ სხვადასხვა სახის სარემონტო მასალები და ინსტრუმენტები.

სკოლის ექიმის იუბილე

თბილისის 25-ე ქალთა საშუალო სკოლაში აღნიშნეს ექიმ მარიამ თევდორეს ასული შუაქრიშვილის სკოლაში მუშაობის 20 წლისთავი და სამედიცინო მოღვაწეობის 25 წლისთავი.

მარიამ შუაქრიშვილს დიდ პატივს სცემენ პედაგოგები და მოსწავლენი. იგი განსაკუთრებული მზრუნველობით და ყურადღებით ეპყრობა მოსწავლეებს. თვითეული მათგანი მისი მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა. მარიამ თევდორეს ასული თვალყურს ადევნებს იმას, რომ სუსტი ჯანმრთელობის მოსწავლენი მკურნალობდნენ, არდადეგების დღეებში სანატორიუმებში იგზავნებოდნენ ჯანმრთელობის გასამაგრებლად. მისი მონაწილეობით სკოლაში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ბევრი სხვადასხვა ღონისძიება ხორციელდება.

სკოლის ექიმის ხელმძღვანელობით მუშაობენ მოსწავლეთა სანიტარული საგუშაგოები, ეწყობა მეცადინეობა პირველი სამედიცინო დახმარების წესების შესასწავლად. მოსწავლეთა და მათი მშობლების ინტერესს იწვევს ექიმის ლექციები და საუბრები ბავშვთა პირადი ჰიგიენის, დღის რეჟიმის შესახებ და სხვა თემებზე.

ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის მარიამ თევდორეს ასული შუაქრიშვილი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. (საქდესი).

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები ბოლნისში

ბოლნისი. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა ამ დღეებში კულტურის სახლში დიდი წარმატებით აჩვენეს ოპერების „დაისის“ და „აბესალომ და ეთერის“ ნაწყვეტები.

მთავარი როლები შეასრულეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა პ. ამირანაშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნ. ხარაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. ხამაშურიძემ და სხვებმა.

ოსური სიმღერები და ცეკვები აფსკზე

სტალინირი. ამ დღეებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სომღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც ვ. პლიევი ხელმძღვანელობს, იყო თბილისში ოსური სიმღერებისა და ცეკვების აფსკზე ჩასაწერად.

აფსკზე ჩაწერილია „ახალგაზრდების სიმღერა“, ხ. პლიევის ტექსტით, მუსიკა კომპოზიტორ ბ. გალაევისა, ოსური ხალხური სიმღერები „ჩერმენი“, „ჩეპენა“, „მაყრული“, „მწყემსის ოცნება“, აგრეთვე ოსური ცეკვები „ქალაშვილის ცეკვა“, „სიმდი“ და სხვა.

ახალ პირობებში ძველებუკრკალი

ქსუისის მტს-ს სერიოზული დახმარება ესაჭიროება

... მტს-ის წარმომადგენელი, რომელიც კოლმეურნეობაში მოვიდა, ბევრს ლაპარაკობდა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი მეთოდით თესვის მნიშვნელობაზე. კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადებმა მოიწონეს სასარგებლო წინადადება და მექანიზატორთა დახმარებით ერთ ნაკვეთზე სიმინდი ახალი წესით დათესეს. ეს მოხდა სტალინირის რაიონის სოფელ არგვიცის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში.

პროგრესული მეთოდით თესვა უნდა განხორციელებულიყო რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც, მაგრამ ქსუისის მტს-ში იმთავითვე გული აიცრუეს ამ საქმეზე და გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარის ნაცვლად კვადრატულ-ბუდობრივი მეთოდით სიმინდი მხოლოდ 48 ჰექტარზე დათესეს. მერე იმითაც აღარ დაინტერესდნენ, რომ ეს ნათესი კარგად დაემუშავებინათ, უხვი მოსავალი მოეყვანათ და რაიონის კოლმეურნეობებისათვის კონკრეტული ფაქტით ეჩვენებინათ, თუ რა უპირატესობა აქვს ახალი მეთოდით თესვას.

კვადრატულ-ბუდობრივად ნათესმა ფართობმა, რომელსაც მზრუნველობით არ მოუარეს, სახარბიელო მოსავალი ვერ მისცა კოლმეურნეობას.

ეს იმით აიხსნება, რომ ქსუისის მტს-ის ხელმძღვანელობა (დირექტორი თ. გოგიჩაიშვილი) ეგუება ნაკლოვანებებს. აქ ჩვეულებად იქცა მნიშვნელოვანი წამოწყების ჩაშლა, გულგრილი დამოკიდებულება უხვი მოსავლის მოყვანის პროგრესული მეთოდებისადმი.

ცნობილია, რა შეღავათია კოლმეურნეობისათვის, თუ სათოხნი კულტურების ნათესებს მექანიზატორები დაამუშავებენ. ეს ბენზინარიტება იციან მტს-შიც. მაგრამ მიმდინარე წელს დავალება მუშაობის ამ სახეში მხოლოდ 2,4 პროცენტით გაანადღეს. ასევე შეუსრულებელი დარჩა მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები. განსაკუთრებით ცუდად ინერგება მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში. ცხვრის მექანიკური პარსვის დავალება მტს-მა მხოლოდ 1,5 პროცენტით შეასრულა.

მტს-ის მომსახურების ბევრ კოლმეურნეობაში (იგი 27 კოლმეურნეობას ემსახურება) ძალიან დაბალ მოსავალს იღებენ, მეცხოველეობის ფერმებში მრავალი ნაკლოვანებაა. მანქანა-ტრაქტორთა სადგური ასეთი მდგომარეობისათვის სათანადო პასუხისმგებლობას არა გრძნობს.

როგორ გამოიყურება მტს-ი ამჟამად, ახალ პირობებში?

მტს-მა კოლმეურნეობებისადმი დახმარების გასაძლიერებლად მძლავრი შესაძლებლობანი მიიღო, პარტიის მოწოდების პასუხად მტს-სა და კოლმეურნეობებს მუდმივ სამუშაოდ დაუბრუნდნენ სპეციალისტები. მტს-ს უკანასკნელ ხანებში შეემატა 24 სპეციალისტი. მათზე დაყრდნობით მტს-ს შეუძლია გადაჭრით გააუმჯობესოს კოლმეურნეობების აგრონომიული და ზოოტექნიკური მომსახურება. მაგრამ არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი მუშაობა იმისათვის, რომ ეს სპეციალისტები სწრაფად ჩაებან წარმოებაში, რომ მათ შეექმნათ პირობები მაღალნაყოფიერი საქმიანობისათვის.

სოფელ ქლიავანის კოლმეურნეობაში სამუშაოდ ორი თვის წინ წავიდა ზოოტექნიკოსი მ. მინდიაშვილი. იგი დღემდე არ არის უზრუნველყოფილი ბინით.

სპეციალისტების განაწილების დროს დაშვებულია სხვა ნაკლოვანებანიც. ბიყარის სასოფლო საბჭოს 8 კოლმეურნეობიდან მხოლოდ ორ კოლმეურნეობაში გაგზავნეს სპეციალისტი, დანარჩენ 6 კოლმეურნეობას, სადაც თითქმის ყველა დარგი ჩამორჩენილია, სპეციალისტები არა ჰყავთ. კოლმეურნეობები კვლავ თავმინებებული რჩებიან. სოფლის მეურნეობისა და დამზადების საოლქო სამმართველოს (უფროსი გ. მირიტაძე) და ქსუისის მტს-ის ხელმძღვანელობას რატომ არ უნდა გაეწიათ ანგარიში ამ მდგომარეობისათვის და პირველ რიგში სწორედ ყველაზე მეტად ჩამორჩენილ და მორეულ სოფლებში გაეგზავნათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები?!

მტს-სა და კოლმეურნეობებს შორის ჯერ კიდევ არ არის დამყარებული მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა. ბევრ კოლმეურნეობაში (ქსუისი, ვანათი, სარაბუკი და სხვ.) ჩაშალეს პირუტყვის სადგომების მშენებლობა. მტს-ში კი არ დაინტერესდნენ გაერკვიათ, რატომ მოხდა ეს, რა დახმარება ესაჭიროებოდათ კოლმეურნეობებს. სოფელ ქერეს და ხელჩუას კოლმეურნეობებს ორ-ორი კაცი უნდა გაეგზავნათ სურამის მექანიზატორთა სკოლაში. მაგრამ ამ კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა არ უფალატეს თავიანთ ცუდ ჩვევას და არც ერთი კაცი არ გაგზავნეს სურამში, მაშინ როცა მტს-ს აკლია 10 ტრაქტორისტი.

ახლა მტს-ში ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი მიმდინარეობს. აქ არ იზრუნეს იმისათვის, რომ ეს პასუხსაგები სამუშაო თავიდანვე ორგანიზებულად დაეწყოთ. გრაფიკით ოქტომბერსა და ნოემბერში შეკეთებიდან 4 ტრაქტორი უნდა გამოეშვათ. ფაქტიურად არც ერთი არ გამოუშვიათ. ახლა დაიწყო „იერიშობანა“. თვის პირველ ნახევარში სამი ტრაქტორი შეაკეთეს. ისინი მიიღო კომისიამ, მაგრამ ერთ ტრაქტორს შემოწმების დროს აღმოაჩნდა დეფექტები, რომელთა შესახებ აქტში არ იყო მითითებული. გვიანდება სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტი.

უნდა აღინიშნოს, რომ მტს-ს ძალიან ცუდი, ღარიბი სარემონტო ბაზა აქვს. სახელოსნოში უბრალო ნაწილის დამზადება დიდ სიძნელეს წარმოადგენს — ჩარხები მოძველებულია. არა ჰყავთ კვალიფიციური სპეციალისტები. ამასთან ძალიან ხშირად მტს-ს ელექტროენერგიას არ აძლევენ და მუშაობა ფერხდება.

მტს-ის შენობა მოძველებულია და კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ რემონტისათვის დაუშვა თანხები. საქმე წელს უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ საშენი მასალის შეძენა დაყოვნდა და მუშაობა დასაწყისშივე ჩაკვდა. მტ-ის ტექნიკა ცის ქვეშ ყრია, არა აქვთ ფარდული.

მოუგვარებელია მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობები. არ არის სასადილო, საერთო საცხოვრებელი ზამთრისათვის არ მოამზადეს და ციცა. მექანიზატორებს იატაკზე უნდებათ წოლა და ღამის გათევა. ისიც უნდა ითქვას, რომ მტს-ისადმი შეფობა არც ერთ საწარმოსა და ორგანიზაციას არ უკისრია.

ასეთი სურათი ხომ არ გვექნებოდა, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, პარტიის სტალინირის რაიონული კომიტეტი და რაიონული საბჭოს აღმასკომი შესაფერისად ხელმძღვანელობდნენ ამ მტს-ს.

ვ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

გამოვასწოროთ ჩამორჩენა ფრაქტორების შეკეთებაში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 10 დეკემბრის ცნობები

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ტრაქტორების რემონტის გეგმის შესრულებაში კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა. 10 დეკემბრისათვის რესპუბლიკაში ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის დავალება შესრულებული იყო 55,6 პროცენტით.

ბევრ მტს-ში დიდი ჩამორჩენაა. მანგლისის, ალვანის, მცხეთის, მაიაკოვსკის მტს-ებს და ბაკურიანის მეცხოველეობის სამანქანო სადგურს 10 დეკემბრისათვის რემონტიდან ერთი ტრაქტორიც არ ჰქონდათ გამოშვებული.

ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის დავალება შესრულებული აქვს ხაშურის მტს-ს — 50 პროცენტით, გომის — 46,2, ოგარის — 18,8, ჭარელის — 27,3, რუსის — 61,5, გორის — 58,8, ახალსოფლის — 72,2, ტყვიავის — 111,1, შინდისის — 100, კასპის — 54,5, სამთავისის — 66,7, თეძამის — 38,5, დუშეთის — 46,7, სტალინირის — 54,5, ქსუისის — 33,3, ზნაურის — 33,3, ლენინგორის — 16,7, ახალქალაქის — 55,6, ვაჩიანის — 33,3, ბარალეთის — 100, ბოგდანოვკის — 135,3, განძის — 85,7, ახალციხის — 66,7, ასპინძის — 33,3, ადიგენის — 27,3, თიანეთის — 46,2, წალკის — 44,4, ავრალის — 144,4, დმანისის — 54,5, გომარეთის — 116,7, ასურეთის — 52,9, თეთრი წყაროს — 37,5, გურჯაანის — 78,6, ველისციხის — 37,5, კაჭრეთის — 40, ბადიაურის — 25, ულიანოვკის — 52,4, წნორის 28,6, ალაზნის — 40,9, ტიბაანის — 80, წითელწყაროს — 147,6, შირაქის — 52,9, გამარჯვების — 46,2, ქედის — 36,4, თელავის — 58,8, ნაფარეულის — 36,4, ახმეტის — 6,7, ყვარლის — 33,3, ენისელის — 37,5, ოფენის — 57,1, ლაგოდეხის — 47,1, ვარდისუბნის — 66,7, დიღმის — 37,5, მარტყოფის — 73,3, თელეთის — 58,3, სამგორის — 66,7, გორდაბნის — 100, მარნეულის — 55,6, შულავრის — 35,7, კაჩაგანის — 18,2, წითელხიდის — 114,3, ბოლნისის — 26,7, თამარისის — 50, საგარეჯოს — 80, იორის — 53,8, სართიჭალის — 87,5, უჯარმის — 40, გულრიფშის — 100, გალის — 20, გაგრის — 16,7, გუდაუთის — 62,5, ოჩამჩირის პირველ — 80, ოჩამჩირის მეორე — 100, ქობულეთის — 50, აბაშის — 92,9, ცხაკაიის — 73,9, გეგეჭკორის — 50, ზუგდიდის — 47,8, ხობის — 26,7, წალენჯიხის — 50, ჩხორო

სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია

ჭიათურა. (საკ. კორ.). ამას წინათ აქ გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტისა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშაკთა გაერთიანებული სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. მოხსენებები გააკეთეს მარგანეცის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა დ. გელაშვილმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. მელიქიძემ და ინჟინერმა კ. ჭინჭველაშვილმა და სხვ.

საინტერესო იყო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის მ. კეკელიძის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ჭიათურის მარგანეცის საბადოს ფორებიანი მადნის გამოყენებას.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ზურაბიშვილმა კონფერენციაზე წაიკითხა ორი მოხსენება — „ჭიათურის მარგანეცის საბადოს გადიდებული სიქსქის ფენების დამუშავების საკითხისათვის“ და „მოპოვებული მადნის მასაში ფუჭი ქანის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

მოსმენილ იქნა აგრეთვე რამდენიმე სხვა საყურადღებო მოხსენება.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ს. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში პროფესორმა კ. ბარამიძემ. კონფერენციამ დასახა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემდგომი დაახლოების გზები.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

გაზეთ „კომუნისტის“ 21 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია „საქმეს იწყებენ, მაგრამ არ ამთავრებენ“, რომელშიც მხილებული იყო მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელხევის კეთილმოწყობლობა.

როგორც საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ტაბატაძე გვატყობინებს, კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები ძირითადად დადასტურდა. რაიკომმა დასახა ღონისძიებანი სოფელ წითელხევის საშუალო სკოლის შენობის აღდგენისა და კოლმეურნეობათა რადიოფიცირებისათვის. რადიოკვანძი უახლოეს დროში ამოქმედდება.

რაიკომის მიერ მიღებულია ზომები წერილში აღნიშნულ სხვა ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში შემოვიდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს კოლმეურნეობა. „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარის გრიგოლ გიორგაძისა და მისი მოადგილეს ვანო კუბატაძის დანაშაულობანი.

აღნიშნულ კოლმეურნეობაში სიმინდის თესვა-დამუშავება აგროტექნიკურ ვადებში არ ჩატარებულა, დაგვიანებით და უხარისხოდ დამუშავდა ნათესები. კოლმეურნეობაში იყო ხორბლის არასწორად განაწილების შემთხვევები.

საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ ზედა საზანოს კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ შექმნილი მდგომარეობის საკითხი. კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. კუბატაძეს რაიკომის ბიურომ მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო და რჩევა მისცა კოლმეურნეთა საერთო კრებას მოხსნას იგი თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სახალხო ჩინეთის სიმდიდრეთა ამსახველი წიგნი

„ჩინელი ხალხის დიადი სამშობლო წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც უჭირავს მაღალი მთებითა და დიდებული მდინარეებით დასერილი ვრცელი ნიკიერი ტერიტორია. ჩინეთის ჰავა განირჩევა დიდი მრავალფეროვნებით, ხოლო ნიადაგი — ნაყოფიერებით; მისი წიაღი უდიდეს სიმდიდრეს შეიცავს. ჩინეთი დასახლებულია განსაკუთრებით ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხით, რომელმაც ჯერ კიდევ ძველათ შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის მაღალი კულტურა... უფრო კარგად და სრულად რომ წარმოვიდგინოთ ჩინეთში ახალი დემოკრატიული მშენებლობის მდიდარი შესაძლებლობანი და ფართო პერსპექტივები, საჭიროა შევისწავლოთ მისი ბუნების პირობები რაიონობით, განვიხილოთ ყოველი ცალკე რაიონის ეკონომიური და კულტურული განვითარების თავისებურებანი“ — ასე იწყება ჩუ შაო-ტანის წიგნი „ახალი ჩინეთის გეოგრაფია“, რომელიც უცხოეთის ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა.

„ახალი ჩინეთის გეოგრაფია“ ჩინელ ავტორთა ერთი იმ მრავალ წიგნთაგანია, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დიდი ტირაჟებით გამოდის. იგი წარმოადგენს ძვირფას სახელმძღვანელოს იმ ქვეყნის შესასწავლად, რომლის ხალხთანაც ჩვენ დავამყარეთ ძმური მეგობრობა, რაც შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის სამყაროდ გარანტიას წარმოადგენს.

როცა კითხულობ ჩუ შაო-ტანის წიგნს, თვალწინ წარმოგიდგება ქვეყანა უზარმაზარი, 9,9 მილიონი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიით, რომელიც გადაჭიმულია შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებიდან წყნარი ოკეანის ნაპირებამდე, საბჭოთა ციმბირიდან ინდოეთის მცხუნვარე განედებამდე. ამ ქვეყანაში ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი; ხალხი, რომელმაც შექმნა უმდიდრესი კულტურული ფასეულობანი, ხალხი, რომელმაც მრავალი წელი გაატარა ბრძოლაში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამარცხა შინაური და გარეშე მტრები და შექმნა დიდი მსოფლიო სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

ავტორი ჩინეთის რაიონების დახასიათებას იწყებს მდინარე ხუანხეს ქვემოწელით — ეკონომიურად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაიონით. აქ ცხოვრობს 130 მილიონი კაცი, ანუ ჩინეთის მთელი მოსახლეობის 27,3 პროცენტი. ეს ყველაზე დიდია ჩინეთის ხშირდასახლებული რაიონებიდან. ხეპეის ვაკეზე და ხუანხეს აუზში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 300 კაცს 1 კვადრატულ კილომეტრზე. აქ მდებარეობენ რესპუბლიკის დედაქალაქი პეკინი, ჩრდილოეთ ჩინეთის ყველაზე დიდი ნავსადგური და დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი ქალაქი ტიანძინი, რომელშიც ორ მილიონამდე მოსახლეა, დიდი ქალაქები ცინდაო, ძინანი, კაიფინი, ძინინი, იანტაი და სხვები.

ამ რაიონში რკინიგზების ხშირი ქსელი და სასარგებლო წიაღისეულთა მდიდარი საბადოებია. ხუანხეს ქვემოწელის რაიონზე მოდის ჩინეთის ქვანახშირის მთელი ამოღების მესამედზე მეტი. აქ მოიპოვება აგრეთვე რკინის მადანი, ოქრო, ფოსფორიტები, მარილი.

ხუანხეს ქვემოწელის რაიონი ხორბლისა და ქერის უმნიშვნელოვანესი მწარმოებელია. იგი იძლევა ამ კულტურების იმ მოსავლის დაახლოებით ნახევარს, რაც ჩინეთში მოდის. აქ დიდი რაოდენობით მოჰყავთ ცერცვი; მიწის თხილის მოსავლის მიხედვით ამ რაიონს მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია. ჩინეთის ბამბის ორი მესამედი მოჰყავთ მდინარეების ხუაიხეს, ვეიხეს, დაცინხეს აუზის, შანდუნისა და ძიანსუს პროვინციების ნაყოფიერ ნიადაგებზე. აქვე, შანდუნის ნახევარკუნძულის ნაპირებთან, ჩინეთის თევზჭერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაიონია.

ხუანხეს აუზში 1950 წლიდან გაჩაღდა გრანდიოზული საირიგაციო მშენებლობა, რომლის მიზანია აღმოფხვრას მოსალოდნელი წყალდიდობა 210 ათას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე, სადაც 55 მილიონი კაცი ცხოვრობს, 2,7 მილიონი ჰექტარით გაადიდოს სარწყავი მიწის ფართობი, გააუმჯობესოს ნაოსნობა და შექმნას პირობები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის.

ჩინეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ორ ისეთ დიდ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონს, როგორიც არის იანძის ქვემოწელი და შუაწელი. აქ 110 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. პირველ მათგანს წამყვანი ადგილი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მსუბუქი მრეწველობის განვითარებაში. სამკუთხედი შანხაი — ნანკინი— ხანჯოუ ჩინეთის უდიდესი სამრეწველო ცენტრია.

განთავისუფლებამდე რაიონის თითქმის მთელი მრეწველობა უცხოურ კაპიტალს ეკუთვნოდა, რომელსაც ფაბრიკებთან ერთად ხელში ჩაგდებული ჰქონდა აგრეთვე ბამბისა და თუთის ხის პლანტაციები. დიდი სანავსადგურო ქალაქები — შანხაი, ნანკინი და სხვები — წარმოადგენდნენ არხებს, რომლებითაც ჩინეთში შედიოდა უცხოეთის კაპიტალი. იგი ახრჩობდა ეროვნულ მრეწველობას, ზრდის საშუალებას არ აძლევდა საკუთარ საწარმოო ძალებს. მეგამბეობის უმდიდეს რაიონში საფეიჭრო ფაბრიკები მუშაობდნენ შემოტანილი ნედლეულით — ეს უფრო ხელსაყრელი იყო უცხოეთის მონოპოლიებისათვის.

იანძის შუაწელის აუზი განსაკუთრებით მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. იანძის ველი რკინის მადნის მოპოვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაიონია. აქ მოიპოვება სურმა, ვოლფრამი, ტყვია, თუთია, მარგანეცი, კალა, ვერცხლისწყალი, ოქრო. რამდენად მდიდარია ჩინეთის წიაღი, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ასეთი ფაქტის მიხედვით: ჩინეთის წილად მოდის სურმის მსოფლიო წარმოების 70 პროცენტი და ვოლფრამის მსოფლიო მოპოვების 40 პროცენტი.

ავტორი თავის წიგნში ერთიმეორის მიყოლებით განიხილავს რაიონებს და დიდი რაოდენობით მოჰყავს ფაქტიური მასალა, საინტერესო ცნობები. ჩუ შაო-ტანი დაწვრილებით ლაპარაკობს ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონზე, რომელსაც მძიმე ინდუსტრიის განვითარების მხრივ წამყვანი მდგომარეობა უკავია. მსოფლიოში ცნობილია მუკდენ-ანშან-ბენსი-ფუშუნის რაიონი როგორც დიდი სამრეწველო ცენტრი. ჩრდილო-აღმოსავლეთზე მოდის რკინიგზების მთელი ქსელის 43 პროცენტი.

წიგნში, რომელიც ავტორმა 1951-1952 წლებში გამოსცა, ბუნებრივია, ასახული ვერ იქნება ქვეყნის ეკონომიკაში უკანასკნელი წლის მანძილზე მომხდარი უდიდესი ცვლილებანი და კერძოდ პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დაწყება.

ჩუ შაო-ტანის წიგნი ძვირფასი სახელმძღვანელოა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესასწავლად. თავისი უდიდესი ფაქტიური მასალით იგი გვარწმუნებს, რომ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიცვალა ჩინეთის არა მარტო სახელმწიფო წყობილება, არამედ გეოგრაფიაც. რუკაზე გაჩნდნენ ახალი ქალაქები და დასახლებული პუნქტები, ახალი არხები და წყალსაცავები, საზღვაო ნავსადგურები და რკინიგზები. გამარჯვებულმა ხალხმა უმაგალითო ენერგიითა და ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი თავისი ქვეყნის გარდაქმნას და შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ამ გზაზე.

მ. დომოგაცკიხი.

თბილისის არტელ „პიშჩეხიმპრომის“ საკონდიტრო წარმოებამ მიმდინარე წლის გეგმა 10 დეკემბერს შეასრულა. ახლა არტელი საახალწლოდ დიდი რაოდენობით უშვებს საკონდიტრო ნაწარმს. სურათზე: (მარჯვნიდან) საამქროს გამგე ს. დაუშვილი და ხელოსანი ე. შაუთიძე აფორმებენ ტორტებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდის სახსრებით

ზუგდიდი. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ჭითაწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში საბჭოთა კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს საექსპლოატაციოდ გადაეცა კოლმეურნეობის კახტორა — ორსართულიანი შენობა 16 ოთახით. იგი აგებულია კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდის სახსრებით.

კოლმეურნეობამ შარშან სამ მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო და გაანუყოფელ ფონდში გამოყოფილი ჰქონდა 300.000 მანეთი. წელს ამ ფონდმა 600.000 მანეთს მიაღწია. ამ სახსრებით კოლმეურნეობამ იყიდა ავეჯი, მომღერალთა გუნდისათვის მუსიკალური ინსტრუმენტები და ტანსაცმელი, გაიყვანა რადიო. სოფლის ბიბლიოთეკაში წიგნების რაოდენობამ 30.000 მიაღწია. ბიბლიოთეკა ამჟამად მოთავსებულია ახალი შენობის პირველ სართულში.

პენსიები და დახმარება

ფოთი. (საკ. კორ.). წელს სახელმწიფომ სამამულო ომის მონაწილეებს და შრომის ინვალიდებს პენსიებისა და ერთდროული დახმარების სახით 3.853.321 მანეთი მისცა. მარტო სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებს მიეცათ 1.553.797 მანეთი პენსია, ომის ინვალიდებს 219.828 მანეთი, ხოლო შრომის პენსიონერებს 2.044.605 მანეთი. ერთდროული დახმარების სახით გაცემულია 40 ათას მანეთამდე. გარდა ფულადი დახმარებისა, პენსიონერებს ეძლევათ სანატორიუმების საგზურები.

კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ცნობა

ფხენიანი, 13 დეკემბერი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ცნობას ამერიკელი აგრესორების ბოროტმოქმედებათა შესახებ კორეის სახალხო არმიის ტყვე მეომრებისა და ოფიცრების მიმართ.

ამერიკელმა ინტერვენტებმა, ნათქვამია ცნობაში, უხეშად გათელეს რა ფეხქვეშ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, ისტორიაში უმაგალითო დანაშაულებანი ჩაიდინეს კორეაში.

კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა ბევრი რეპატრიირებული სამხედრო ტყვისაგან მიიღო წერილები, რომლებშიც ისინი წერენ უმაგალითო მხეცობაზე, რაც ამერიკულ ბანაკებში ხდებოდა. გულდასმითი გამოკვლევის საფუძველზე კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტი აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

1. ამერიკელი ინტერვენტები სამხედრო ტყვეების მიმართ ჩადენილი ბოროტმოქმედებით არღვევდნენ ჟენევის კონვენციას სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. ამას ადასტურებს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რომლებიც ამერიკის ყველა ბანაკში მოხდა სამხედრო ტყვეების იქ ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში.

2. ამერიკელი აგრესორების ბოროტმოქმედებანი შემთხვევითი ხასიათისა როდია; მათ ორგანიზებულად და გეგმაზომიერად სჩადიოდნენ და სჩადიან უაღრესად ფართო მასშტაბით. არ არის ამერიკის ჯარების კონტროლს დაქვემდებარებული არც ერთი ბანაკი, სადაც არ მომხდარიყოს სამხედრო ტყვეთა მასობრივი დახოცვა და ძალადობა მათ მიმართ.

3. ამერიკელი აგრესორებისა და ლისინმანელთა ხროვის ბოროტმოქმედებას სამხედრო ტყვეების მიმართ ახასიათებს უმაგალითო სისასტიკე.

კორეის სახალხო არმიის ტყვე მეომრებისა და ოფიცრების დასაზოგავად ამერიკელი აგრესორები იყენებდნენ ყველაზე არაადამიანურ საშუალებებს: სრესდნენ მათ ტანკებით, მდუღარე წყალს ასხამდნენ, ძაღლებს უსვევდნენ, შიმშილით და სიცივით ჰკლავდნენ. დაკითხვის დროს ტყვეებს საშინლად აწამებდნენ. უმაგალითოდ ტანჯავდნენ და ბუჩად იგდებდნენ ქალებს.

ყველა ეს დანაშაული, რაც ამერიკელმა ინტერვენტებმა ჩაიდინეს სამხედრო ტყვეების მიმართ, ნათქვამია შემდეგ ცნობაში, ისახავს ფართო სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს. მუქარის, წამებისა და მკვლელობის გზით ამერიკელები ძალით აკავებდნენ სამხედრო ტყვეებს, აიძულებდნენ მათ უარი ეთქვათ სამშობლოში დაბრუნებაზე; მათ გადასცემდნენ ლისინმანელთა ხროვას საზარაბაზნე ხორცად.

ამერიკელები ტერორს, ტანჯვას, ბოროტმოქმედებას, ძალადობას უკეთებენ სამხედრო ტყვეებს, ძალით უკავრანგებდნენ სამხედრო ტყვეებს სხეულზე პროვოკაციულ ლოზუნგებს, წარწერებსა და ნახატებს.

ამერიკელთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი, აღნიშნულია ცნობაში, შეიძლება დაეყოთ გარკვეულ ეტაპებად, რომლებსაც თავისი თავისებურებანი აქვთ. ბოროტმოქმედებათა პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს 1950 წლის დეკემბრიდან 1951 წლის თებერვლამდე. ამ ეტაპზე ამერიკელები ემზადებოდნენ სამხედრო ტყვეთა ძალით დაკავებისათვის. ამავე დროს ამერიკელები სამხედრო ტყვეებს იყენებდნენ ობიექტებად სხვადასხვა სახეობის საბრძოლო იარაღის გამოცდისათვის.

პერიოდი 1951 წლის თებერვლის დამდეგიდან, როცა დაიწყო კორეელ სამხედრო ტყვეთა მასობრივი გადაყვანა კუნძულ კოჯედოზე, 1952 წლის ივლისამდე — ეს არის ამერიკელთა ბოროტმოქმედების მეორე ეტაპი. მას ახასიათებს კორეის სახალხო არმიის ტყვე მეომრების დახოცვისა და სისხლისღვრის შემთხვევების გახშირება. 1952 წლის ივლისიდან ამერიკელებმა დაიწყეს საგბიკაცია მუშაობა სამხედრო ტყვეებში იმ მიზნით, რომ აეძულებინათ ისინი უარი ეთქვათ სამშობლოში დაბრუნებაზე.

პერიოდი 1952 წლის ივნისიდან სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის დაწყებამდე — ამერიკელთა ბოროტმოქმედების მესამე ეტაპია. დარწმუნდნენ რა, რომ ვერავითარი პრაპაგანდით ვერ გასტეხენ სამხედრო ტყვეთა შეუდრეკელ ნებას, ამერიკელებმა ამ პერიოდში მიმართეს ყველაზე მხეცურ წამებას, ძალადობასა და აბუჩად იგდებას, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ხელი შეეშალათ სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნებისათვის, აეძულებინათ ისინი სამხრეთ კორეაში დარჩენილიყვნენ. ამ ეტაპს ახასიათებს განსაკუთრებით აღვირახსნილი ტერორი ბანაკებში, სამხედრო ტყვეთა მასობრივი დახოცვა და წამება.

საჭიროა აღინიშნოს, ნათქვამია კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ცნობაში, რომ ძალადობა და ბოროტმოქმედება სამხედრო ტყვეების მიმართ არ არის ცალკეულ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა ერთეული, შემთხვევითი დანაშაულობანი. პირიქით, ეს ძალადობა და ბოროტმოქმედება გულდასმით მომზადდა და შეიმუშავეს და ზუსტად გეგმის მიხედვით ახორციელებდნენ. ამაში მონაწილეობას იღებდნენ ჯარის დიდი ნაწილები, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს.

დანაშაულობათა მასშტაბს ცხადყოფს შემდეგი ფაქტები. მარტო რეპატრიირებული ტყვეების მიერ წარმოდგენილი მასალებით კორეის სახალხო არმიის შემადგენლობის მოკლულ სამხედრო ტყვეთა საერთო რიცხვი 33.600-ს აღემატება. დაჭრილთა და დასახიჩრებულთა რიცხვი რამდენიმე ათეულ ათასს შეადგენს.

აგრესიული ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესიაზე

პარიზი, 14 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, დღეს პარიზში გაიხსნა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფების მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ფინანსთა მინისტრები. სესიის დღის წესრიგის პირველი საკითხია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის გენერალური მდივნის ლორდ ისმეის მოხსენება წარსული სესიის (რომელიც 1953 წლის აპრილში გაიმართა) შემდეგ შესრულებული მუშაობის შესახებ.

გუშინ ლორდმა ისმეიმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მოხსენებაში, რომელსაც იგი სესიაზე გააკეთებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დამტკიცდეს „ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ („ევროპის არმიის“. — **რედ.**) შესახებ. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება, — დასძინა ისმეიმ, — საუკეთესო გეგმაა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს დასავლეთ გერმანიის წვლილის“ შეტანა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში.

საერთაშორისო თემაზე

დასავლეთი გერმანია აგრესიის საშიში კერაა ევროპაში

ახასიათებდა რა დასავლეთ გერმანიაში შექმნილ ვითარებას, ამერიკის საგარეო ტრესტის „სკრიპს-ჰოვარდის“ კორესპონდენტი აშკარად წერდა, რომ „ის, ვინც მიჰყვებოდა ჰიტლერს, ახლა მიჰყვება ადენაუერს“. რეაქციული ჟურნალისტის აღიარება პირველი საჯარო ანაწმენა როდია იმისა, რაც ახლა ბონის „ფედერალურ რესპუბლიკაში“ ხდება. მაგრამ ეს აღიარება ერთხელ კიდევ ადასტურებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის იმ მილიონობით ადამიანის საქმის სიმართლეს, რომლებიც აძლიერებენ ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გერმანიის პრობლემის სამართლიანი, მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

საბჭოთა მთავრობამ თავისი 15 აგვისტოს, 28 სექტემბრისა და 3 ნოემბრის ნოტებით წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს მოეწყოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რათა ნაბიჯი გადაიდგას წინ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში. სწორედ ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა განხილვა, ისევე როგორც გერმანიის საკითხის, მათ შორის გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და საბავო ხელშეკრულების დადების საკითხის განხილვა. ამა წლის 13 ნოემბერს ვ. მ. მოლოტოვმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ გერმანიის საკითხის გადაწყვეტა უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპის უშიშროების უზრუნველყოფასთან და, მაშასადამე, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასთან.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს არა სურთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. ისინი აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ეწინააღმდეგებიან ატომის, წყალბადისა და ადამიანთა მახობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვას, ქმნიან აგრესიულ ბლოკებს, ადიდებენ სამხედრო ბაზების ქსელს, აქცევენ დასავლეთ გერმანიას ახალი აგრესიის კერად. ეს იმპერიალისტური პოლიტიკა საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ეგი ამწვავებს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პირველ დღეებშივე ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებმაც კავშირი შეკრეს გერმანიის ყველა ბნელ, რეაქციულ ძალებთან, ეძიებენ აიღეს კურსი, რომ გათიშონ გერმანია, გადააქციონ მისი დასავლეთი ნაწილი რევანშიზმისა და მილიტარიზმის ბურჯად. ამას არ შეიძლებოდა შეშფოთების გრძნობა არ გამოეწვია ყველა ამათ შორის, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, თავისუფლება და დემოკრატია. გერმანელმა მონოპოლისტებმა, პრუსიელმა მემამულე-იუნკრებმა, ჰიტლერელმა ნაბოლარებმა კვლავ წამოჰყვეს თავი და იმედი აქვთ გაიჩაღონ ახალი აგრესიული ომი ევროპის მშვიდობიანმოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის (პარლამენტი) უკანასკნელი არჩევნების შედეგად ბონის „რაიხის“ ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ რეაქციული, რევანშისტული ელემენტები. ბუნდესტაგი და ამას წინათ შექმნილი ახალი მთავრობის კაბინეტი გერმანიის რეაქციის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის ძალების ცენტრია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ბუნდესტაგის დეპუტატთა შორის 42 დეპუტატი დიდი კონცერნების დირექტორია, 34 მსხვილი მრეწველი და 41 მსხვილი მიწათმფლობელი. ბუნდესტაგში არიან სამხედრო დამნაშავეები და ჰიტლერის თანამზრახველნი, როგორც, მაგალითად, ფინანსური მაგნატი, დასავლეთ გერმანიაში ყველაზე მდიდარი კაცი — პუერდმენგესი, ბანკირი ჰუგო შარნბერგი, ჰიტლერელი გენერალი, ათასობით ადამიანის მკვლელი, სამხედრო დამნაშავე მანტეიფელი, ჰიტლერელი ადმირალი ფონ ჰაიდა ჰიტლერელი დიპლომატი თავადი ოტო ფონ ბისმარკი. მილიტარისტებისა და სამრეწველო-ფინანსური მაგნატების მთავრობის სათავეში კვლავ დგას თავგამოდებული რეაქციონერი და რევანშისტი კონრად ადენაუერი.

მთელი ეს ბროვა უკვე დიდიხანია აშკარად ლაპარაკობს დიქტატის ენით.

არჩევნების დამთავრებისთანავე ადენაუერი თავის საგარო გამოსვლებში უკვე აცხადებს, დასავლეთმა გერმანიამ ევროპის კონტინენტზე ხელმძღვანელობა უნდა განახორციელოს. იგი მოითხოვდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმას, ოდერს გაღმა პოლონეთის ძველთაძველი მიწების მიტაცებას. ბონელმა რევანშისტმა საფრანგეთს მოსთხოვა სასწრაფოდ დაემტკიცებინა ეგრეთწოდებული პარიზის ხელშეკრულება „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ, რომლის ნიღბით აღორძინებენ ფაშისტურ ვერმახტს. ადენაუერის სიტყვებში, წერდა ერთი შვეიდერი გაზეთი, „კვლავ ისმის გერმანელთა ბატალიონების ბრაგადრუგი“. დასავლეთ გერმანიაში რევანშიზმისა და სამხედრო ფსიქოზის გაღვივებასთან ერთად ადენაუერის ხროვა ახორციელებს აქტიურ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაცია და აგრესიული ვერმახტის კვლავ შექმნა. როგორც ადმ-ის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ბონის მთავრობამ არჩევნების მეორე დღესვე გამოაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის სამხედრო მრეწველებს მიეცემათ 1 მილიარდი 200 მილიონი მარკა კრედიტი იარაღის წარმოების გასაფართოებლად. დასავლეთ გერმანიის მთავრობის ფაქტიურმა სამხედრო მინისტრმა ბლანკმა ზარბაზნის მეფეებს, რომლებიც ჰიტლერს აიარაღებდნენ, განუცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებები ძალაში შევა, დასავლეთ გერმანიის მრეწველობა მიიღებს წელიწადში 11,5 მილიარდი მარკის სამხედრო დაკვეთებს.

ბონის ხროვა არ სჯერდება თავისი სამხედრო მრეწველობის პროდუქციას. იგი უკვე „თანამშრომლობას“ ამყარებს და საჭურველს იძენს სხვა ქვეყნებშიც, აძლევს მათ ნაწილობრივ თავის სამხედრო დაკვეთებს. ამ მიზნით ბონის ხროვის რწმუნებულები დაძრწიან მთელ დასავლეთ ევროპაში, დებენ საიდუმლო გარიგებებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო ხროვასთან. როგორც დასავლეთ გერმანიის სააგენტო დპა იუწყება, 9 სექტემბერს ინგლისის ქალაქ ფარნბოროში დასავლეთ გერმანიის (იუნკერსის, ჰაინკელის, დორნიეს და მესერშმიტის ავიაქარხნების) ექსპერტთა დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის საავიაციო მრეწველობის წარმომადგენლებთან. მოლაპარაკების დროს განიხილეს ორივე ქვეყნის საავიაციო მრეწველობას შორის „მჭიდრო თანამშრომლობის“ დამყარებისა და დასავლეთ გერმანიისათვის რეაქტიული თვითმფრინავების შესყიდვის საკითხი.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ადენაუერის მთავრობამ წინადადებით მიმართა შვეიცარიის „ისპანო-სიუიზის“ ფირმას ზარბაზნების შესყიდვის შესახებ. ამ მიზნით ასიგნებულია 10 მილიონი ფრანკი. ხოლო შვეიცარიის გაზეთი „ნაციონალ-ცაიტუნგი“ წერს, რომ ლიხტენშტაინის სამთავროში შექმნილია ახალი დანინშნის ფაშისტი გენერალი კუნ�ენი, ჰიტლერის შეიარაღებისა და ხალხი მასალის სამინისტროს კადრების განყოფილების ყოფილი უფროსი, ხოლო შემდეგ — საბჭოთა კავშირგერმანიის ფრონტზე ერთ-ერთი დივიზიის მეთაური. ბურუუაზიული გაზეთი „დერ მიტაგი“, რომელიც დიუსელდორფში გამოდის, იუწყება, რომ დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნისათვის განზრახულია სამხედრო სამსახურში გაიწვიონ 80 ათასი უნტერ-ოფიცერი და 20 ათასი ოფიცერი. ბონში, როგორც პრესა იუწყება, უკვე შედგენილია ამ კონტინგენტთა სიები. ყოფილმა ჰიტლერელმა გენერლებმა მოამზადეს „ახალი“ ვერმახტის სამხედრო წესდების პროექტი, რომელიც ძალიან მგავს ფაშისტური არმიის წესდებას.

ამას სავსებით ადასტურებს ის, თუ რა ფართო მოსამზადებელ ღონისძიებებს ახორციელებს ბონის ხროვა აღსადგენი არმიისათვის ადამიანთა კონტინგენტების დასაკომპლექტებლად. დამახასიათებელია, რომ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და ფაშისტური ურდოების შექმნას ფარავენ იმპერიალისტური ბონისა და პარიზის ხელშეკრულებებით, რომლებსაც უარყოფენ ამ „გაერთიანების“ მონაწილე ქვეყნების ხალხები.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ხელშეკრულებები მოფიქრებულია როგორც ნიღაბი, რომლითაც გერმანიის რევანშიზმის სულისჩამდგმელები ცდილობენ დაფარონ თავიანთი აგრესიული მზადებანი.

როგორც ცნობილია, „ბლანკის უწყების“ წინა წამოწყება — მოეგროვებინა მოხალისეები ფაშისტური ვერმახტისათვის — ჩაიშალა. მან მაშინ ვერ მოაგროვა ნავარაუდევი 80 ათასი კაცი. გერმანელ ახალგაზრდობას არა სურს თავი შესწიროს იმპერიალისტთა ინტერესებს, რომლებიც უცხოა გერმანელი ხალხისათვის. ახლა, არჩევნების შემდეგ, ბონში სასწრაფოდ ამუშავებენ კანონპროექტებს სავალდებულო სამხედრო ბეგრისა და „მოხალისეთ

ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბრიუსელი, 14 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დრაპო რუჟი“ იუწყება, ბრიუსელში გაიმართა ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვან ჰოორიკის მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობისა და პარლამენტის მომავალი არჩევნებისათვის მზადების შესახებ (ეს არჩევნები უნდა მოხდეს მომავალი წლის პირველ ნახევარში). მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპარტიის საარჩევნო კამპანია უნდა მოიწყოს მშვიდობისათვის, ბელგიის ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გაძლიერების ნიშნით.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30 კაცმა. პლენუმმა მიიღო ბელგიის კომპარტიის საარჩევნო პროგრამა.

იტალიის დეპუტატთა პალატამ მოიწონა ამნისტიის კანონი

რომი, 14 დეკემბერი. (საკდესი). 12 დეკემბერს დეპუტატთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი ამნისტიის და სასჯელის ვადების შემცირების შესახებ, რომელიც ვრცელდება პოლიტიკურ და სისხლის სამართლის დანაშაულობათა სხვადასხვა კატეგორიაზე. ამ კანონპროექტის მიღებას წინ უძღოდა ცხარე დისკუსია.

კომუნისტი და სოციალისტი დეპუტატები მტკიცედ იბრძოდნენ იმისათვის, რომ ამნისტია გავრცელებულიყო „პოლიტიკურ“ და „სამხედრო“ დანაშაულობებზე, რადგან ამ „ფორმულების“ საფუძველზე მსჯავრდადებულია ათასობით ყოფილი პარტიზანი, რომლებმაც ომის დროს და განმათავისუფლებელი ბრძოლის დამთავრების შემდეგ სიკვდილით დასჯეს გამცემი ფაშისტები. მიუხედავად ქრისტიან დემოკრატთა და ნეოფაშისტთა წინააღმდეგობისა, მემარცხენე დეპუტატებმა ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს იმას რომ ამნისტია გავრცელდეს ეგრეთწოდებულ „დანაშაულობებზე“, რომლებიც პარტიზანებმა 1946 წლის ივნისამდე ჩაიდინეს.

ახალგაზრდობის მიგინგი რომში

სეკიას სიტყვა

რომი, 14 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ რომში გაიმართა ახალგაზრდობის მიტინგი, რომელიც მიეძღვნა იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის საწევრო ბილეთების გამოცვლას. მიტინგის მონაწილეებს მიესალმა **კომპარტიის გენერალური მდივნის** მოადგილე პიეტრო სეკია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი სულ უფრო მეტი ნდობით შეჰყურებს სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს, რადგან ისინი მიჩნია ფაშიზმისა და გერმანელი დამპყრობლებისადმი წინააღმდეგობის პერიოდში დაფუძნებული დიდი ეროვნული და სოციალური განახლების საქმის განმგრძობებად.

სეკიამ აღნიშნა, რომ იტალიაში 670 ათასი ახალგაზრდა უმუშევარია; 250 ათასი ქალიშვილი და ჰაბუკი სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მხოლოდ 100-120 დღეს წელიწადში; **იტალიის სამხრეთ** რაიონებში 300 ათასი ქალიშვილი და ჰაბუკი მუშაობს მინდვრებში და იღებს არა ხელფასს, არამედ სამარცხვინო მოწყალებას; 6-14 წლის ასაკის ბავშვების 16 პროცენტი სკოლაში ვერ დადის, რადგან სასკოლო შენობების ნაკლებობაა.

ამ სიღატაკესა და დაქვეითებას რომ ბოლო მოეღოს, თქვა სეკიამ, კომუნისტები იბრძვიან პარლამენტსა და სახელმწიფოში კონსტიტუციის დასაცავად, რომელშიც ჩაწერილია მოქალაქეთა შრომისა და განათლების უფლებანი. მაგრამ ისინი იბრძვიან აგრეთვე უფრო ფართო მიზნებისათვის: საზოგადოების თვით სტრუქტურის შეცვლისათვის.

შულლი თურქეთის დემოკრატიულ პარტიასა და სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას შორის

ანკარა, 15 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელ ხანს თურქეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს მმართველ დემოკრატიულ პარტიასა და ოპოზიციურ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას შორის ატეხილ დავას. გაზეთებმა განსაკუთრებით ფართოდ განიხილეს დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ჯგუფის გადაწყვეტილება სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მოძრავი და უძრავი ქონების კონფისკაციის შესახებ. ეს ქონება, როგორც ნათქვამია გადაწყვეტილებაში, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ უკანონოდ მიითვისა, როცა ხელისუფლების სათავეში იყო.

„ჯუმჰურიეთს“, „ჰურიეთს“, „ვატანს“, „ენი საბახს“, „აქშამსა“ და სხვა გაზეთებს ეს გადაწყვეტილება მიაჩნიათ მომავალი წლის მაისში მეჯლისის არჩევნებთან დაკავშირებით პოლიტიკური ბრძოლის საშუალებად.

პოლემიკა, რომელიც გაჩაღდა ორ პარტიას შორის, ეხება არა მარტო შინაპოლიტიკურ საკითხებს, არამედ საგარეოპოლიტიკურ საკითხებსაც. მაგალითად, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალურმა თავმჯდომარემ ინენიუმ დემოკრატიული პარტიის მთავრობას ბრალად დასდო, რომ მან თურქეთი კორეის ომში ჩააბა. ინენიუმ დემოკრატიულ პარტიას აგრეთვე დააკისრა პასუხისმგებლობა თურქეთის მძიმე ეკონომიური მდგომარეობისათვის.

ამ პარტიის გენერალურმა მდივანმა კასიმ გიულეკმა ქალაქ უშაკში გამართულ მიტინგზე აღნიშნა ის ფაქტი, რომ მმართველმა პარტიამ არ შეასრულა თავისი წინასაარჩევნო დაპირებანი, რომ სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლის დაპირებული პოლიტიკის ნაცვლად იგი ფასების გადიდების პოლიტიკას ახორციელებს.

როგორც გიულეკმა განაცხადა, მმართველმა პარტიამ „ფართოდ გააღო საბაჟოების კარი, ფუფუნების საგნებით ააცხო თურქეთი, ვალუტა გაქრა, ოქრო გამოილია, და თურქეთს კვლავ დაედო უცხო სახელმწიფოთა ვალი — 700 მილიონი თურქული ლირა. საერთაშორისო ასპარეზზე თურქეთს შეერქვა გადაბდის უუნარო ქვეყნის სახელი“.

„თურქეთს, — თქვა შემდეგ გიულეკმა, — მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არაერთხელ განუცდია კრიზისი. მაგრამ თურქეთის სავაჭრო საქმეები ასეთ სავალალო მდგომარეობაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა“.

ინდოეთის პრესა ამერიკის ხრიკების შესახებ ინდოეთსა და პაკისტანში

დელი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ეხება რა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ნიქსონის ამასწინანდელ ვიზიტს დელში, გაზეთ „ნიუ ეიჯის“ სპეციალური კორესპონდენტი წერს: „ნიქსონი იმისათვის ჩამოვიდა ინდოეთში, რომ ეცადა მიეღო ინდოეთის მთავრობის თანხმობა ეგრეთწოდებული „დამოუკიდებელი“ ქაშმირის შექმნის შესახებ სტივენსონის გეგმის განხორციელებაზე“ („დამოუკიდებელი“ ქაშმირის გეგმის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ინდოეთისა და პაკისტანის საშინაო საქმეებში. **რედ.**). ნიქსონი, ხაზგასმით აღნიშნავს კორესპონდენტი, დაემუქრა ინდოეთის მთავრობას: „ან მიიღეთ სტივენსონის გეგმა... ან ამერიკის შეერთებული შტატები უფრო შორს წავლენ პაკისტანის არმიის შეიარაღებისა და პაკისტანის ტერიტორიაზე თავისი სამხედრო ბაზების შექმნის საქმეშიო“.

როგორც ადგილობრივი პრესის მრავალი ცნობიდან ჩანს, ინდოეთის საზოგადოებრიობამ უარყო ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ზრახვები, რომელთა მიზანია ჩაბაბას ინდოეთი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გეგმებში. ინდოეთის დედაქალაქში ნიქსონს ვიზიტს შედეგი არ მოჰყოლია. ამერიკის შეერთებული შტატები მით უფრო გადაჭრით ცდილობენ დაამთავრონ თავიანთი შეთანხმება პაკისტანთან. „მოლაპარაკება პაკისტანისათვის ამერიკის სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ, — წერს გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“, — საბოლოო სტადიაშია; მოელიან ვაშინგტონის დასტურს“.

კომენტარს უკეთებს რა ამ ცნობებს, გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი“ აცხადებს: „პაკისტან-ამერიკის სამხედრო პაქტი აშკარად აქეზებს პაკისტანს ქაშმირში შეჭრისათვის“. პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდება ცნობები იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ გარს შემოარტყან ინდოეთის თავიანთი სამხედრო ბაზები, კერძოდ, ააშენონ ამერიკის ბაზა გოაში — ინდოეთის ტერიტორიაზე პორტუგალიის სამფლობელოში. ჟურნალი „ბლიტეი“ იუწყება: „პორტუგალიის არმია გოაში იღებს დამხმარე ძალებსა და შეიარაღებას, მათ შორის ტანკებსა და არტილერიას, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოდის ლისაბონით“.

ამასთან დაკავშირებით მადრასის გაკლენიანი ინდური გაზეთი „ჰინდუ“ წერს: „ნახევარკუნძულ ინდოსტანის ორმა სამხედრო ხასიათის მოვლენამ უნდა მიიპყროს ინდოეთის სერიოზული ყურადღება: დადასტურება ცნობებისა, რომ გოაში ჩამოვიდნენ პორტუგალიის ჯარები და მიღებულია მძიმე შეიარაღება; მოლაპარაკება პაკისტანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო კავშირის დადებისა და პაკისტანისათვის ამერიკის შეიარაღების მიწოდების შესახებ, რის სამაგიეროდ პაკისტანი სამხედრო ბაზებს აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებს“.

ადენაუერის მოლაპარაკება დასავლეთის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებთან

პარიზი, 14 დეკემბერი. (საკდესი). პარიზის პრესა ამ უკანასკნელ დღეებში დიდ ყურადღებას უთმობს მოლაპარაკებას, რომელიც პარიზში წარმოებს ბონის კანცლერ ადენაუერსა და საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის (ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი პარიზს ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიაში, რომელიც დღეს იხსნება).

გაზეთი „ფიგარო“ იუწყება, რომ დალესმა ადენაუერთან საუბარში გააცნო მას ბერმუდელის კუნძულების თათბირის შედეგები, აგრეთვე შეეხო ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირის საკითხს.

პარიზის გაზეთების კომენტარები ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი პარიზში თავის ყოფნას გამოიყენებს იმისათვის, რომ საფრანგეთს დაჩქარებინოს „ევროპის არმიის“ შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაცია.

მიმმხილველთა გამოსვლებში მოჩანს შეშფოთება, რაც გამოწვეულია „ევროპის არმიის“ მომხრე ადენაუერთან დასავლეთის მინისტრების მოლაპარაკებით. ადენაუერმა ამასთანავე გამოამეღავნა თავისი რევანშისტული მისწრაფებანი, როცა გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე პარიზში.

ინდოეთში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის განცხადება

დელი, 14 დეკემბერი. (საკდესი). დელის რადიოს ცნობით, ამერიკის ელჩმა ინდოეთში ალენმა გუშინ დელში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ სამხედრო კავშირი შეკრან პაკისტანთან, მიუხედავად ინდოეთის ოპოზიციისა.

მდგომარეობა ირანში

დეპუტატ მაკის პროტესტი ზაჰედის მთავრობის საშინაო პოლიტიკის წინააღმდეგ

თეირანი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ირანის გაზეთმა „შაჰედმა“ მოათავსა დეპუტატ მაკის წერილი მეჯლისისა და გენერალური პროკურორისადმი. მაკი გენერალ ზაჰედის მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას სისხლისმღვრელი ამბებისათვის, რომლებიც 7 დეკემბერს მოხდა თეირანის უნივერსიტეტში, აგრეთვე ბრალად სდებს მთავრობას სხვა „კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას“.

თავის წერილში მაკი წერს, რომ 7 დეკემბერს მომხდარი ამბების შედეგად მოკლულია სამი სტუდენტი, ბევრი სტუდენტი მძიმედ დაიჭრა, ხოლო სტუდენტთა და თეირანის საშუალო სკოლების მოსწავლეთა ჯგუფი იმ საბაბით, რომ ისინი სახალხო პარტიას ეკუთვნიან, გადაასახლეს კუნძულ ხარგზე და სამხრეთ ირანის სხვა რაიონებში, სადაც მძიმე კლიმატური პირობებია.

მაკი აღნიშნავს, რომ მთავრობის მოქმედება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის დამატების მე-9 მუხლს. არავითარი კანონი, აცხადებს მაკი, არ იძლევა იმის უფლებას, რომ უდანაშაულო ადამიანები (რომელთა რიცხვმა 4.000-ს მიაღწია) გადაასახლონ კუნძულ ხარგზე ან ჩასვან ფალაკ ოლ-ოფლაკის საპყრობილეში.

კონსტიტუციის დამატების მე-12, მე-14 და მე-18 მუხლები, განაგრძო მაკიმ, აგრეთვე სამხედრო წესების კანონის მე-5 მუხლი არავის არ ანიჭებს უფლებას დაეპატიმროს და ციხეში ჩააგდოს რაიონებში გადაასახლოს რელიგიის მოღვაწეები, სტუდენტები, ვაჭრები, ხელოსნები და მუშები, მით უმეტეს ქურდებთან და ბანდიტებთან ერთად საპყრობილეში ჩასვას არასრულწლოვანი მოსწავლეები.

მაკი პროტესტს აცხადებს აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ დახურეს თეირანის მთელი რიგი გაზეთები, „რომლებიც საზოგადოებრივ აზრს გამოხატავდნენ“. მაკი აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის დამატების მე-20 მუხლის საფუძველზე ჟურნალ-გაზეთები შეიძლება დაიხუროს მხოლოდ სასამართლოს გადწყვეტილებით.

დასასრულ მაკი მოითხოვს, რომ მეჯლისმა და გენერალურმა პროკურორმა „აღძრან საქმე და დასჯონ ამ კანონის საწინააღმდეგო მოქმედების მოთავენი“.

ხო ში მინის განცხადება ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ

პარიზი, 14 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, დღეს, მიმართა რა წერილით ვიეტნამელ ხალხს შეიარაღებული წინააღმდეგობის მე-7 წლისთავის გამო, ხო ში მინმა განაცხადა: „თუ საფრანგეთის მთავრობას სურს მიაღწიოს დაზავებას მოლაპარაკების გზით და თუ მას სურს მშვიდობიანი გზით გადაჭრას ვიეტნამის პრობლემა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი და მთავრობა მზად არიან განიხილონ ეს“.

ვიეტნამელ ხალხს, — თქვა ხო ში მინმა, — მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „წინააღმდეგობა გაუწიოს მანამდე, სანამ არ გაიმარჯვებს“.

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი ლიბიაში

კაირო, 14 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი ჩავიდა ლიბიაში და შეხვდა მეფე იდრის 1-ს.

გაზეთი „ალ-გუმჰურია“ წერს, რომ ლიბიაში ნიქსონის მოგზაურობის მიზანია „შეეცადოს დაიჭაროს“ ამერიკის სამხედრო ბაზების გაფართოების შესახებ ლიბიასთან გრძელვადიანი სამხედრო ხელშეკრულების დადება. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებს ლიბიაში უკვე აქვთ თავიანთი სამხედრო-საჰაერო ბაზები, მაგრამ ამერიკა-ლიბიის არსებული შეთანხმება დროებითია. ამერიკის შეერთებული შტატები, წერს გაზეთი, ზეგავლენას ახდენენ მეფეზე და ცდილობენ დადონ სამხედრო ხელშეკრულება 20 წლის ვადით, რისთვისაც „ეკონომიურ დახმარებას“ პირდებიან სამხედრო ბაზების მიღების სანაცვლოდ.

5 დეკემბერს ქუთაისში გაიხსნა „ელექტროსაჩქარებელი“ სპეციალიზირებული საფეხმეტალურგიო მალაზია. მაღაზიას აქვს ელექტროსაჩქარებლის ფართო ასორტიმენტი — სხვადასხვა სისტემის რადიომიმღები, ელექტრომაცივარი, მტვერსაწოვი, ლატაკის საწმენდი, ელექტრომრიცხველები, ჭაღები, უთოები და სხვ. მარტო ერთ დღეს აქ 25 ათასი მანეთის საქონელი გაიყიდა. ხურათზე: რადიომოწყობილობის სექციაში.

ფოტო ბ. მალლაფერიძისა.

ახალი მაღაზიები და სასადილოები

ხობი. (საკ. კორ.). სოფელ ხამისქურის ცენტრში გაიხსნა მაღაზია, რომელიც ვაჭრობს სამრეწველო, სასურსათო, სამეურნეო საქონლით და კულტსაქონლით. სოფელ ქვალონში გაიხსნა სასურსათო და სამრეწველო საქონლის კეთილმოწყობილი მაღაზია და მუშათა სასადილო, სადაც მზადდება გემრიელი და იაფფასიანი კერძები.

სამტრედია. (საკ. კორ.). უკანასკნელ ხანებში სამტრედიის რაიკოოპკავშირმა სერიოზული ღონისძიებანი განახორციელა სავაჭრო ქსელის გაფართოება-კეთილმოწყობისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი მაღაზია, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა რაიონის ცენტრში — ქალაქ სამტრედიაში. მაღაზიას აქვს სამრეწველო საქონლის, პარფიუმერია-გალანტერიის, მზა ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და კულტსაქონლის სექციები. აქვე მოწყობილია სამკერვალო საამქრო.

ტყიბული. (საკ. კორ.). დღითიდღე იზრდება ტყიბულელ კოლმეურნეთა მყიდველობითი უნარი. მარტო პირველი სამი კვარტალის განმავლობაში რაიონის სოფლების სავაჭრო ქსელში საქონელბრუნვა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ერთ მილიონ მანეთზე მეტით გადიდდა. რაიონის მთელ რიგ სოფლებში გაიხსნა სხვადასხვა ახალი სავაჭრო. ახალი სასადილოები გაიხსნა სოფელ საწორის ცენტრში და სოფელ კურსებში. ამავე სოფლებში ამუშავდა პურის საცხობები. რაიონის ცენტრში, საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე გაიხსნა საგალანტერიო საქონლისა და კულტსაქონლის სავაჭროები.

საინგერესო შემთხვევა

ადიგენი. (საკ. კორ.). გოდერძის უღელტეხილის ახლოს მდებარეობს ეგრეთწოდებული „ბეშოვნის აგარაკი“, დაფარული ხშირი დაბურული ტყით.

ამ დღეებში აქ მოხდა საინტერესო შემთხვევა. ტყეში მიდიოდა ოთხი მეტყევე. უცებ მათ შეეფეთა ვეებერთელა ძუ დათვი. მხეცი დაეძგერა წინ მიმავალ ვასილ ბეშკენაძეს და თათის დარტყმით მიწაზე დაანარცხა.

ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში იყო, რომ მას იქვე მყოფი ზაქრო მეტრეველი არ მიშველებოდა. იგი მივარდა დათვს და თავში ცული დაარტყა. მეორე დარტყმის შემდეგ მხეცი დაეცა.

იზრდება მშრომელთა ანაბრები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებს დიდი რაოდენობით შეაქვთ შემნახველ სალაროებში თავიანთი დანაზოგები, რაც მათი მატერიალური კეთილდღეობის ზრდის უტყუარი მაჩვენებელია. პირველი დეკემბრისათვის რაიონის შემნახველ სალაროებში შეტანილი იყო 3.190.000 მანეთი. განსაკუთრებით გაიზარდა ანაბრების რაოდენობა ოქტომბერსა და ნოემბერში.

მშრომელები აგრეთვე დიდი რაოდენობით იძენენ 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს.

მშრომელთა წარმატებით მომსახურებისა და საფინანსო გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის რაიონის მთელ რიგ შემნახველ სალაროებს (შორაპნის, ფეროშენაღნობთა ქარხნის, არგვეთის საბჭოთა მეურნეობის და სხვ.) „საუკეთესო შემნახველი სალაროს“ სახელი მიენიჭათ.

პირუტყვის ბინები

ჩოხატაური. (საკ. კორ.). სოფელ გორაბერეულის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ განუყოფელი ფონდიდან წელს 300.000-მდე მანეთი დახარჯა. კოლმეურნეობამ აიგო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორი კაპიტალური სადგომი, თვითეული 80 სული პირუტყვისათვის. აგებულია აგრეთვე საქათმე 500 ფრთა ფრინველისათვის.

თბილისის აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ახალ სასპორტო დარბაზში დამთავრდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში თბილისის აბსოლუტურ პირველობაზე.

საინტერესო ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი შ. ჩიკვაიძე, რომელმაც თბილისის 1953 წლის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ქართული ჭიდაობის საუკეთესო ტექნიკისათვის დაწესებული პრიზი ხვდა ფიზკულტურის ტექნიკუმის სპორტსმენს ზ. მუხიაშვილს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

16 დეკემბერს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთათვის შედგება ლექცია თემაზე: „ზედმეტი ღირებულების თეორია მარქსის ეკონომიური მოძღვრების ქვაკუთხედია“. ლექტორი დოცენტი ნ. შანიძე.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

16 დეკემბერს	პ. ჩაიკოვსკი— **ევგენი ონეგინი** (დასაწყისი საღამოს 7 ს.).
17 დეკემბერს	დ. თორაძე— **მშვიდობისათვის**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — ბარათაშვილი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ვარდი ასფურცლოვანი (რკინიგზელის სახლში), **გრიბოედოვის სახელობის** — თოვა და ავი ძაღლი (ოფიცერთა სახლში), **მუსიკალური კომედიის** — სამთა სიყვარული, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ლურჯა (აბონემენტი № 33, 10 ს.), **სანიტარული კულტურის** — მცდარ გზაზე, **თოჯინების ქართული** — ალადინის ჯადოსნური ლამპარი (3 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ტარაპუნკა და შტეპსელი ღრუბლებქვეშ, საუზმე წინამძღოლისას, **კოლხიდა** — ვასა ჟელეზნოვა, **26 კომისრის** — ქალიშვილი პაემანზე მიიჩქარის, ჭაბუკი ტაიგიდან, **კოლმეურნე** — შეხვედრა ელბაზე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს: 1. ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 26 დეკემბერს დღის 1 საათზე № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბიოლოგი აფრასიონის-ძე ჯიბუტი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მხჯელობის თეორიისა და კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი“.**

ოფიციალური ოპონენტები: ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ლ. გოკიელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ს. **წერეთელი**, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. კიკვაძე.**

2. ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 26 დეკემბერს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ზოთა ანდრიას-ძე ხანთაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სოციალური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში XIX საუკუნის დამდეგს (თავადის ყმა-აზნაურთა საკითხის ისტორიისათვის)“.**

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ი. ცინცაძე**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ა. კიკვიძე.**

3. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 26 დეკემბერს დღის 3 საათზე № 86 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გრიგოლ ლუკას-ძე ნახუცრიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბაჰუვრიჰი ინდურ-ირანულ ენებში“.**

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **დ. კობიძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **მ. ანდრონიკაშვილი.**

4. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 26 დეკემბერს დღის 3 საათზე № 95 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნიკოლოზ ალექსის-ძე გაბადაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Применение комплексных и гиперкомплексных чисел к теории прямолинейных конгруэнций“.**

ოფიციალური ოპონენტები: ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ბ. როზენფელდი**, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გ. ჭოლოშვილი**, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ნ. ლომჯარია.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (ჰიდროლოგიის სპეციალობით) — 1 საშტატო ერთეული, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი; 2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (კლიმატოლოგიის სპეციალობით) — 1 1/2 საშტატო ერთეული, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 3. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (კარტოგრაფიის სპეციალობით) 1/2 საშტატო ერთეული, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი. 4. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (ეკონომიური გეოგრაფიის სპეციალობით) — 3 საშტატო ერთეული, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებები და სათანადო საბუთები უნდა შეიტანონ ინსტიტუტში 10 დღის განმავლობაში დღიდან კონკურსის გამოცხადებისა.

მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 7. ინსტიტუტის დირექცია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

1. მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში (თბილისი) — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეცნიერების კანდიდატის ხარისხით აგროტექნიკაში — 1.

2. თელავის ზონალურ საცდელ სადგურში (თელავი) — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეცნიერების კანდიდატის ხარისხით ენო-ქიმიაში — 1 და სელექცია-ამპელოგრაფიაში — 1.

კონკურსში მონაწილეობას მიღების მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამტკიცების საბუთების შემოწმებული ასლები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, მეცნიერული ნაშრომების სია და მთავარი მეცნიერული ნაშრომები. კონკურსის ვადა — 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: ქ. თბილისი, კეცხოველის ქ. № 5. მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი.

მოქალაქენო!

არ დაგავიწყდეთ მიულოცოთ ახალი წელი თქვენს ნათესავებს და ნაცნობებს.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი, ფოსტამტი და ქალაქის კავშირგაბმულობის განყოფილებები წინასწარ იღებენ საახალწლო მისალოცი დეპეშებს, რომლებიც ჩაბარდება მისამართზე გამგზავნის მიერ ნაჩვენებ დღეს.

მაგალითად: **„ჩაბარდეს 1 იანვარს“.**

მოსახლეობისათვის უფრო მეტი ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, ასეთი დეპეშები მიიღება წინასწარ ა. წ. 15 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე ჩათვლით. ნაჩვენებ ვადაში დეპეშების ჩაბარებისათვის და ზედმეტ სიტყვებზე, რომლებიც გამოხატავენ მისამართზე ჩაბარების დღეს, გამგზავნი დამატებით საფასურს არ იხდის. მისალოცი დეპეშები მიიღება აგრეთვე ბინის ტელეფონით ფასის შემდგომი შემოტანით ცენტრალური ტელეგრაფის სალაროში (სამხედრო ყეჩა № 4). ამისათვის უნდა გამოუძახოთ ტელეფონით № 06 ან 3-11-43 და გადასცეთ დეპეშის შინაარსი.

მოქალაქენო! მომჭირნედ გამოიყენეთ თქვენი დრო! გაგზავნეთ **საახალწლო მისალოცი** დეპეშები წინასწარ, ასეთი დეპეშები ჩაბარდება მისამართზე თქვენ მიერ ნაჩვენებ დღეს.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის ადმინისტრაცია.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია, პარტორგანიზაცია და თანამშრომლები იუწყებიან **ბათლომე ლომონის-ძე ლეჟავას** გარდაცვალებას.

ცოლისძმა ასისო, რძალი ანგელინა შვილებით მამუკათი და მზეჭაბუკით სხეირლები იუწყებიან **ქრისტეფორე ევგენის-ძე გოშაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-XII, 4 ს. ქობულეთის ქ. № 19.

მეუღლე ოლღა, შვილი გივი დონაძეები იუწყებიან **პავლე ივანეს-ძე ბორიშკევიჩის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-XII, 6 ს. გამოსვენება 17-XII, 3 1/2 ს. პაპანინის ქ. № 31.

სოფიო, ანა ხარატიშვილები, ნინო, ბაადურ რაჭველიშვილები იუწყებიან **სიძისა** და **ბიძის რაჟდენ ბარძიმის-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-XII, 8 ს. გამოსვენება 17-XII, 4 ს. კამოს ქ. № 75.

მოქალაქე **ნიკოლოზ გიორგის-ძე გუმბარიძემ**, მცხოვრებმა ჩუღურეთის ქ. № 17/13 აღძრა საქმე